პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
6 აგვისტო
1939 წ.
№ 179 (5579)
ფასი 10 კაპ.

ხასანის ტბასთან მომხდარი ამბები ეს ხომ ომი არ არის. ეს ომის პროვოკაციაა, თავხედური შეიარაღებული გამოსვლაა მოუსვენარი და, ცოდვა გამხელილი სჯობია, უჭკუო მტრისა. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ კორეისა და კვანტუნის არმიების ბატონი იაპონელი გენერლები ოცნებობდნენ „უხრუბრად გამხდარიყვნენ დიდი მოჩხუბრები“. ისინი ფიქრობდნენ, რომ იოლად, სწრაფად და იაფად ჩაიგდებდნენ ხელში საბჭოთა მიწაწყლის ნაკვეთს და შემდეგ მთელ მსოფლიოს მოსდებდნენ თავისი მამაცობისა და წითელი არმიის სისუსტის ამბავს. ისინი ძლიერ მოსტყუვდნენ. წითელმა არმიამ სასტიკად დაამარცხა ისინი...

კ. ე. ვოროშილოვი

მზრუნველობით ვზარდოთ ახალი კადრები

თავის მოხსენებაში XVIII პარტიულ ყრილობაზე ამხანაგმა **სტალინმა** მთელი სიღრმით გააშუქა ხელმძღვანელი კადრების აღზრდისა და დაწინაურების სწორად დაყენების, ახალგაზრდა მუშაკთა დროულად და გაბედულად დაწინაურების უდიდესი მნიშვნელობა და ამოცანად დაგვისახა: „მზრუნველობით ავზარდოთ კადრები, გულდასმით შევისწავლოთ მუშაკების ღირსებანი და ნაკლოვანებანი, უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ახალგაზრდა მუშაკები, კადრების შერჩევისა და განაწილების საქმე შევუფარდოთ პარტიის პოლიტიკური ხაზის მოთხოვნებს“.

პარტიული ყრილობისა და დიდი სტალინის ამ ბრძნული დირექტივების ცხოვრებაში გასატარებლად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და რაიონულმა, საქალაქო და საოლქო პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს. XVIII პარტიული ყრილობის შემდეგ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ დაწინაურებულია ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე 447 ამხანაგი. გარდა ამისა, პარტიის რაიონული კომიტეტების მიერ დაწინაურებულია 252 კაცი; მარტო ახლად ჩამოყალიბებულ რაიონებში ხელმძღვანელ სამუშაოზე წამოყენებულია 128 ამხანაგი.

გაბედულად იქნენ დაწინაურებული ახალგაზრდა კადრები პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებად, რესპუბლიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებად, მსხვილ საწარმოთა დირექტორებად, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებად, რაიკომთა და რაიაღმასკომების პასუხისმგებელ მუშაკებად და ა. შ. მრავალი მათგანი წამოწეულ იქნა წარმოებიდან, ძირეულ სამუშაოდან.

მაგალითად, სტალინის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილე ამხ. გ. იაკობიძე დაწინაურებულ იქნა ქარელის ახლად ჩამოყალიბებულ რაიკომის მდივნად, ქუთაისის ქალაქის საბჭოს პარტბიუროს მდივანი, ინჟინერი ამხ. ნინა კიკაჩეიშვილი არჩეულია ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მესამე მდივნად, თბილისის საინჟინრო ნაგებობათა ეკონომისტი ამხ. პ. ხარებოვი წამოყენებულია საქ. ფინსახკომის რწმუნებულად სამხრეთ-ოსეთში, ინჟინერი ბ. ლომიძე რიონჰესის დირექტორად არის დაწინაურებული, ა. ვაჭარაძე, რომელიც მექანიკოსად მუშაობდა ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში, ახლა ამ ქარხნის დირექტორია და სხვ. აღნიშნულს თუ დავუმატებთ, რომ ათასობით ამხანაგები დაწინაურებული არიან ძირეულ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და სხვ. ხელმძღვანელ სამუშაოზე, მაშინ უფრო ნათელი გახდება ამ მხრივ გაწეული ნაყოფიერი მუშაობა.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს ახალგაზრდა კადრების გაბედულად დაწინაურების მდიდარი გამოცდილება მოეპოვებათ. განუხრელად ანხორციელებდა რა დიდი **სტალინის** მიერ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვალ - მარტის პლენუმზე მოცემულ მითითებას ახალგაზრდა მუშაკთა დაწინაურებისა და ჩვენი ხელმძღვანელი კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების შესახებ, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ხელმძღვანელობით ათასობით მოწინავე ამხანაგები, ხალხის მტრებთან ბრძოლაში გამობრძმედილი ადამიანები დააწინაურა საპასუხისმგებლო პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და სხვ. სამუშაოზე.

დაწინაურებულმა ამხანაგებმა პარტიული ორგანიზაციებისა და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების საქმიანი დახმარებით წარმატებით გაართვეს თავი მათთვის დაკისრებულ საქმეს და ენერგიულად მუშაობენ ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

ამასთან უნდა აღინიშნოს ხელმძღვანელი კადრების დაწინაურების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციები და ცალკე ამხანაგები ივიწყებენ დიდი ბელადის ბრძნულ მითითებას, რომ თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ახალ კადრებს, აფასებდნენ მათ, ეხმარებოდნენ თვითეულ მზარდ მუშაკს ამაღლდეს მუშაობაში, იცოდნენ თუ რა სამუშაოზე გამოდგება ესა თუ ის მუშაკი, დროულად დააწინაურონ ისინი. ამის მაგიერ ხშირად ივიწყებენ ახლად დაწინაურებულ მუშაკს, კონკრეტულად არ ეხმარებიან მას, რის გამო ზოგიერთი დაწინაურებული ამხანაგი თავს ველარართმევს მუშაობას.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა უმიზნოდ გადაისვრიან მუშაკს ერთი ადგილიდან მეორეზე, არ უქმნიან მუშაობის ნორმალურ პირობებს. ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ აფერხებს ხელმძღვანელი კადრების აღზრდას. მაგალითად, დამზადების სახალხო კომისარიატის რწმუნებული ოჩამჩირეს რაიონში ამხ. ა. ხაინდრავა ოჩამჩირეს რაიკომმა გადაიყვანა რაიკომის ინსტრუქტორად ისე, რომ ანგარიში არ გაუწია მის სურვილს; მის ადგილზე წამოაყენა ამხ. ს. გეჯუა, მაგრამ მასაც არ შეუქმნა მუშაობის პირობები. ასეთსავე ნაკლს ადგილი ჰქონდა ასპინძის რაიონშიც. როგორც ჩანს, ამ რაიონებში ნაკლებად ესმით კადრების მზრუნველობით აღზრდის ამოცანა.

სუსტად არის დაყენებული წინასწარ გულდასმით შესწავლილი დასაწინაურებელი კადრების რეზერვის შექმნის საქმე. ამის გამო ხშირად მთელი თვეობით არა ჰყავთ სათანადო მუშაკი ამა თუ იმ თანამდებობაზე. მაგალითად, თბილისის, სოხუმის და თელავის მტს-ის დირექტორთა მოადგილეები პოლიტნაწილში სამი თვის განმავლობაში ვერ იქნენ შერჩეული, რადგან რაიკომებს არა ჰყავთ წინასწარ შესწავლილი და ყოველმხრივ შემოწმებული ამხანაგების რეზერვი.

სათანადოდ შემოწმებული კადრების უყოლობის გამო ზოგჯერ აწინაურებენ მოუმზადებელ, საქმისათვის შეუფერებელ მუშაკებს. მაგალითად, საქ. კ. პ. (ბ) ადიგენის რაიკომმა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის თანამდებობაზე დასაწინაურებლად წამოაყენა ამხ. გ., რომელსაც დაბალი განათლება აქვს და შეუფერებელია ამ სამუშაოსთვის. რასაკვირველია, იგი ვერ უხელმძღვანელებდა პროპაგანდისა და აგიტაციის საქმეს რაიონში და ამიტომ არ იქნა დამტკიცებული.

ზემოთმოყვანილი ფაქტებიდან სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ პარტიის სარაიონო, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა და ამ კომიტეტთა კადრების განყოფილებებმა. მათ სერიოზული მუშაობა უნდა გასწიონ ხელმძღვანელ სამუშაოზე დასაწინაურებლად წინასწარ შესწავლილი და პრაქტიკულ მუშაობაში ყოველმხრივ შემოწმებული კადრების რეზერვების შესაქმნელად. ამ მუშაობაში განუხრელად უნდა იხელმძღვანელონ ამხანაგ **სტალინის** ბრძნული დირექტივებით კადრების სწორად შერჩევისა და დაწინაურების შესახებ, აფასებდნენ კადრებს, როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ოქროს ფონდს, შეისწავლონ ისინი მათი პრაქტიკული მოღვაწეობის ფაქტიური შედეგების მიხედვით, დაეხმარონ მათ, არ დაიშურონ დრო, მოთმინებით „სდიონ“ ამ ახალგაზრდა კადრებს და დააჩქარონ მათი დაწინაურება მუშაობაში.

ახალგაზრდა პარტიული კადრების აღზრდის მეტად სერიოზულ სკოლას წარმოადგენენ თვით ჩვენი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები. სამქროების და უბნების პარტიულ ორგანიზაციათა ბიუროებში, საწარმოთა და დაწესებულებათა პარტბიუროებში და კომიტეტებში, სარაიონო და საქალაქო კომიტეტთა პლენუმების შემადგენლობაში ათასობით ახალგაზრდა კომუნისტები არიან არჩეული. ამ ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობით ისინი დიდ გამოცდილებას იძენენ, ითვისებენ პარტიულ-პოლიტიკური ხელმძღვანელობის ბოლშევიკურ ჩვევებს.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ყველგან არ აბამენ მუშაობაში ამ მოზარდ, ენერგიით სავსე კადრებს. ხშირად პარტიული ბიუროების და კომიტეტთა პლენუმის წევრებს მხოლოდ სხდომებზე იწვევენ, ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში კი ისინი არ მონაწილეობენ. ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია. ხელმძღვანელ ორგანოში არჩეული თვითეული ამხანაგი ყოველდღიურად უნდა მონაწილეობდეს მის მუშაობაში, ამზადებდეს ცალკე საკითხებს სხდომაზე განსახილველად, ეცნობოდეს და ეხმარებოდეს მუშაობაში პირველადს პარტორგანიზაციებს. იგი უნდა გრძნობდეს სრულ პასუხისმგებლობას ამ ორგანოს მუშაობისათვის პარტიული ბიუროს (კომიტეტის) მდივანთან ერთად. ასეთი მუშაობა დიდად შეუწყობს ხელს ახალი კადრების აღზრდას, დასაწინაურებელ მუშაკთა რეზერვის შექმნას და უზრუნველჰყოფს დიდი ბელადის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებას.

საქალაქთაშორისო ტელეფონით სარგებლობის ახალი წესები

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა საქალაქთაშორისო ტელეფონით სარგებლობის ახალი წესები. ამ წესების მიხედვით საქალაქთაშორისო ლაპარაკის კატეგორიების რიცხვი რვიდან სამამდე მცირდება. რჩება კატეგორიები: უმაღლესი მთავრობისა, მთავრობისა და მესამე — დაწესებულებათა, საწარმოთა და კერძო პირთა ლაპარაკისათვის. მესამე კატეგორიის ლაპარაკის რიგითობას განსაზღვრავს მხოლოდ ტარიფი — ძალიან სასწრაფო, სასწრაფო, ჩვეულებრივი. ლაპარაკის ხანგრძლივობა ათი წუთით განისაზღვრება.

ახალი წესები აუმჯობესებენ მომხმარებელთა მომსახურებას. მაგალითად, საქალაქთაშორისო ტელეფონთან გამოწვევის შესახებ ცნობის გაგზავნა წინათ მხოლოდ გარკვეული მისამართით შეიძლებოდა. ახლა ასეთი ცნობის გაგზავნა შეიძლება „მოთხოვნამდეც“ და ნომრიანი საფოსტო ყუთის მისამართითაც. ახალი წესების მიხედვით, შეიძლება დღეს დაუკვეთო ხვალისთვის ლაპარაკი. მოქალაქეებს, რომლებიც საქალაქთაშორისო ტელეფონით სარგებლობენ, შეუძლიათ ფასი ავანსად შეიტანონ. წინათ ავანსს მხოლოდ დაწესებულებებისაგან იღებდნენ.

საქალაქთაშორისო ტელეფონით სარგებლობის ახალი წესები ძალაში შედის 10 აგვისტოდან. (საკდესი).

უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობა

გუშინდელი დღე აღინიშნა უკრაინისა და საქართველოს კოლმეურნეთა გულითადი ძმური შეხვედრით. ეს შეხვედრა შემთხვევით როდი მოხდა. ზაპოროჟიეს ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის ორდენოსანი არტელი ეჯიბრება საქართველოს რესპუბლიკის მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას. როცა თავის წარმომადგენლებს ჰგზავნიდნენ გამოფენაზე, სტალინის სახელობის არტელის კოლმეურნეებმა წერილი გაჰგზავნეს საქართველოში.

„ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო!

შესანიშნავმა წელიწადმა განვლო იმ მოსაგონარი დღეების შემდეგ, როცა ორივე ჩვენი არტელის კოლმეურნეები, აღფრთოვანებულნი ხალხთა სტალინური მეგობრობის დიადი გრძნობით, ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

...ეს წელიწადი სამუდამოდ შევა სტალინის სახელობის ჩვენი კოლმეურნეობის მატიანეში, როგორც ჩვენს მიერ საბჭოთა მთავრობის უმაღლესი ჯილდოს — ლენინის ორდენის მიღების წელიწადი, როგორც საბჭოთა კავშირის ორდენებით კოლმეურნეობის საუკეთესო სტახანოველების — ჩვენი არტელის თავმჯდომარის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის თედორე კლიმენკოს, მწველელი ქალის განნა მიკიტენკოსა და მეხბორე ქალის მართა კოვბასას დაჯილდოების წელიწადი.

...უდიდესი სიხარულის გრძნობით გაცნობებთ, რომ, დავამთავრეთ რა მოსავლის აღება და შევაჯამეთ პურის აღების წინასწარი შედეგები, დავრწმუნდით, რომ ღირსეულად შევასრულეთ ვალდებულებანი, რომლებიც დავიკისრეთ თქვენს კოლმეურნეობასთან დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით...“

სტალინის სახელობის არტელის კოლმეურნეები იწერებოდნენ, რომ მათ დაავალეს მოსკოვში მიმავალ თავიანთ ამხანაგებს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე შეხვდნენ მახარაძის რაიონის კოლმეურნეებს და მოელაპარაკონ გასული წლის შედეგებზე, კოლმეურნეთა სრულიად-საკავშირო ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტური შეჯიბრების პირობებზე.

უკრაინასა და საქართველოში ათასობით კოლმეურნეებმა წაიკითხეს და მოიწონეს ეს წერილი. მაგრამ შეჯიბრება რომ გაიმართოს, საჭიროა კიდევ უფრო ახლოს გაიცნოთ ერთმანეთი. გუშინდელი შეხვედრა წარმოიშვა სწორედ ამ სურვილიდან უფრო მტკიცე გახდეს ორი მოძმე ხალხის მეგობრობა.

უკრაინის პავილიონში

შეხვედრა დაიწყო დილას და გვიან ნაშუადღევამდე გაგრძელდა. ქართველები ეწვივნენ უკრაინელებს. ზაპოროჟიელებთან, დნეპროპეტროვსკელებთან, კიეველებთან ერთად იყვნენ აჭარლები, ოსები და ქართველები. ჩოხების გვერდით მოსჩანდა ლამაზად მოქარგული უკრაინული ხალათები. ქართველებსა და უკრაინელებს მჭიდრო წრე შეეკრათ, ხოლო მათ ირგვლივ თავი მოეყარათ პავილიონის ჩვეულებრივ დამთვალიერებლებს — თურქმენებს, უზბეკებს, ბელორუსებს, ტაჯიკებს, რუსებს.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი უკრაინის პავილიონისა ამხ. ხილჩენკო მიესალმა სტუმრებს.

— ჩვენ, — სთქვა მან, — ვეპატიჟებით ძვირფას სტუმრებს ნახონ შეჯიბრების შედეგები და ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი აზრი, თუ როგორ განვამტკიცოთ უკრაინისა და ქართველი ხალხის მეგობრობა, რომ ეს მეგობრობა იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს.

...სტუმრები წავიდნენ პავილიონის დასათვალიერებლად. რასაკვირველია, ყველა უკვე ნამყოფი იყო აქ, მაგრამ სულ სხვაა, როცა უსმენ ექსკურსიის ხელმძღვანელის ახსნას და სხვაა, როცა ესაუბრებით პატრონებს, სახელოვან ადამიანებს, რომელთა სახელი განთქმულია მთელს უკრაინაში.

სტუმრები შეჩერდნენ სტალინის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობის სტენდთან და სთხოვეს კოლმეურნეობის მეთაურს — თედორე ნიკიტას-ძე კლიმენკოს ეამბნა არტელის მუშაობის შესახებ.

თ. ნ. კლიმენკოს სიტყვა

ამხანაგებო, შარშან რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების წინ გამოქვეყნებული იყო ქართველი ხალხის მიმართვა უკრაინელი ხალხისადმი სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ ამ შეჯიბრებაში.

ახლა მე გიამბობთ, თუ რას მივაღწიეთ.

ჩვენი კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა 1921 წელს. კოლმეურნეობას აქვს 12.500 ჰექტარი მიწა. მთელი ეს მიწა წინათ მემამულეებსა და კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ.

შარშან, როცა ჩვენ განვიზრახეთ შეჯიბრებაში ჩაბმა, ვინახულეთ ორჯონიკიძის სახელობის ქართული კოლმეურნეობა, ვნახეთ როგორ ცხოვრობენ ამ მზიური ქვეყნის ხალხები, როგორ მუშაობენ ჩვენი იქაური ამხანაგები. და როცა ვნახეთ, გავიცანით და დავუმეგობრდით ორჯონიკიძის სახელობის არტელის კოლმეურნეებს, მერე გადავწყვიტეთ გვეცადნა ჩვენი ძალები.

ჩვენ შევპირდით, რომ 3.250 ჰექტარ ფართობიდან თვითეულ ჰექტარზე ავიღებდით 18 ცენტნერ მარცვლეულს, ავიღეთ კი 18,5 ცენტნერი. ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება, რომ საშუალოდ წელიწადში თვითეულ ძროხას მოეცა 3.500 ლიტრი რძე, ხოლო პირველ ექვს თვეში მოვწველეთ 1837 ლიტრი, 237 ძროხისაგან მივიღეთ 435.509 ლიტრი რძე. ჩვენ შევპირდით, რომ თვითეული 100 დედა-ცხვრისაგან მივიღებდით 135 ბატკანს. ეს ვალდებულებაც შევასრულეთ.

ხოლო რაც მთავარია—გაიზარდა ჩვენი ყველაზე უფრო დიდი სიმდიდრე, რომლის მზრუნველობით მოვლას გვასწავლის დიდი **სტალინი**,—ადამიანები გაიზარდნენ ამ წლის განმავლობაში.

აქ, ჩვენ შორის არიან ირინე შილაკოვა—შესანიშნავი მწველელი ქალი, ბრიგადირი ალექსი ფეშჩენკო, რომელიც ერთი წლის წინათ ჰექტარზე 17,6 ცენტნერ მოსავალს იღებდა, ხოლო ახლა 22 ცენტნერს იღებს, და მრავალი სხვა შესანიშნავი მუშაკი.

ჩვენი პატიოსანი შრომისათვის მთავრობამ წელს კოლმეურნეობა ლენინის ორდენით დააჯილდოვა. ამ ჯილდოს ჩვენ შეჯიბრების ახალი აზვირთებით შევხვდით. თვითეული ჩვენი კოლმეურნე, თვითეული კოლმეურნე ქალი და ყველა პიონერიც კი, ყველა ბავშვი ამბობს, რომ ჩვენ ორდენოსნები ვართ და თვითეული ჩვენგანი თავის მკერდზე ატარებს ლენინის ორდენის ნაწილს.

ჩვენ რაც შეიძლება უკეთესად ვიმუშავებთ, რადგან თვითეული გრძნობს, რომ ის გარემოცულია პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით, საყვარელი ამხანაგ **სტალინის** ყურადღებით (ტაში). ჩვენს მიღწევებს ჩვენ განვამტკიცებთ მეგობრულ შეჯიბრებაში საქართველოს ხალხებთან. ჩვენ ვეპატიჟებით ორჯონიკიძის სახელობის არტელის კოლმეურნეებს გვესტუმრონ ოქტომბერში, რათა შევაჯამოთ წლიური შედეგები და გამოვარკვიოთ ვინ გაიმარჯვა შეჯიბრებაში.

საქართველოს პავილიონში

უკრაინის პავილიონიდან საქართველოს პავილიონში უკვე შუადღისას გაემართნენ. მიდიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, გაცხოველებული საუბრით.

— მე ასე მიმაჩნია, — ამბობდა კლიმენკო,—ჩვენ ვაძლევთ ქვეყანას პურს, ხორცს, ბოსტნეულს, ხოლო მესამე თავს ამზადებს საქართველო. ეს თქვენი საქმეა. რა შესანიშნავი ნაყოფი მოგყავთ თქვენ! მართალია, ჩვენც გავაშენეთ ბაღი 125 ჰექტარზე, მალე ჩვენც შევძლებთ გავუმასპინძლდეთ სტუმრებს საკუთარი მაჟრით, მაგრამ თქვენი მზე უფრო მცხუნვარეა, თქვენი ყურძენი უკეთესია, ხოლო მანდარინს, ლიმონს, ფორთოხალს უყურებ და ვერ სძლებ მათი ცქერით. კარგია თქვენი ქვეყანა—თბილი, ალერსიანი, მზიური.

აი საქართველოს პავილიონის კოლონადაც. აქ ჩრდილია. შადრევნებისაგან სიგრილე მოჰქრის. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და სხვადასხვა ნაყოფის სურნელების ტალღა ეხვევა გარს დამთვალიერებელთ, სიამაყის ღიმილს იწვევს მასპინძლების სახეზე.

სიუხვე, ნაყოფიერება მიწისა, ვაჟკაცური შრომა ადამიანებისა, რომლებიც კოლხიდის ჭაობებს ბაღად აქცევენ, რომლებიც მთელს საბჭოთა ქვეყანას აძლევენ ხილს, ჩაის, ღვინოს. აი ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის სტენდიც.

თვითეული ხე კოლმეურნეობაში 465 მანდარინს იძლევა. 1938 წელს შრომადღეზე კოლმეურნეებმა 9 მანეთზე მეტი მიიღეს. კოლმეურნეობა აშენებს ყოველნაირ ციტრუსოვანს, ჩაისა და სხვა კულტურებს.

სტუმრები დინჯად ათვალიერებენ სათბურს. გრეიპფრუტით, ლიმონით და მანდარინით დახუნძლულია ტოტები. და ამ შესანიშნავ ხეებს შორის მიმალულია ქინაქინის მცენარის პატარა ბუჩქები. უფერული, დედამიწას ოდნავაცილებული ეს მცენარე საბჭოთა, მეცნიერების დიდ გამარჯვებას მოწმობს. ადამიანები ცდილობენ მრავალწლიან კულტურად აქციონ ხორბალი. ერთხელ დათესავ, მოსავალი კი ყოველწლიურად მიიღე. ხოლო იმისათვის, რომ საბჭოთა ქინაქინა მიგვეღო, საჭირო იყო მისი ერთწლიან კულტურად გადაქცევა. ბუჩქები გაიზარდა, აი მალე დადგება სათუთი ხისათვის საშიში, დამღუპავი დილის ყინვები, მაგრამ მცენარეს ადრევე ამოსთხრიან მიწიდან, გადაამუშავებენ ფაბრიკაში, და საბჭოთა მედიცინის შესაიარაღებლად ჩვენ მივიღებთ საუკეთესო ხარისხის ქინაქინას.

სათბურის იქით სტუმრებმა დაინახეს მინიატიურული ჩაის პლანტაცია.

აიშე გურგენიძე დაიხრება და ღიმილით უჩვენებს უკრაინელებს თავის ოსტატობას. გამალებით მუშაობენ ხელები. თვალის ერთ დახამხამებაში აიშე შეარჩევს ნორჩ ფოთოლს და ზუსტი მოძრაობით სწყვეტს მას. სტუმრები გატაცებით უცქერიან ჩაის სახელოვანი მკრეფავი ქალის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ბერიას სახელობის არტელის კოლმეურნე ქალის მუშაობას. აიშემ პირველმა დაიწყო ჩაის კრეფა ორთავე ხელით. შრომის ნაყოფიერება ოთხჯერ გაიზარდა. 70 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფს გურგენიძე. წინათ ამ ციფრის წარმოდგენაც არავის შეეძლო, მაგრამ ამჟამად ახალი ოსტატები გამოიზარდნენ. უშა ახუბა, მაგალითად, 340 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფს.

და ვინ იცის, შეიძლება ამ რეკორდსაც გადააჭარბებენ დღეს უცნობი კოლმეურნე ქალები, ვისი სახელებიც ხვალ მთელს ხალხში იქნებიან ცნობილნი.

პავილიონის დათვალიერება დამთავრდა, ხოლო წასვლა კი არავის უნდა. იფიქრეს და გადასწყვიტეს ედღესასწაულნათ დღევანდელი დღე, ორი ხალხის წარმომადგენელთა ძმური შეხვედრის დღე.

ტბაზე

მრავალი მაგიდები ერთმანეთს მიადგეს. მწკრივად სდგამენ წნულ სავარძლებს ფართო ქოლგების ქვეშ. ჭიქები წითელი ღვინითაა სავსე. მებაღეები, მწყემსები, მწველელები, აგრონომები, ქართველები და უკრაინელები ერთად უსხდან სადღესასწაულო სუფრას.

დღეს უკანასკნელი დღეა მოსკოვში მათი ყოფნისა. მალე მატარებლები შინისაკენ წაიყვანენ ექსკურსანტებს. შეიძლება ამიტომაც არის, რომ ყველა განსაკუთრებულად ალერსიანია და ყველას მეოცნების იერი დაჰკრავს.

სვამენ უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობის სადღეგრძელოს.

— ჩემთვის დღევანდელი დღე ისეთი სასიხარულოა, რომ არ შემიძლია ეს ენით გამოვთქვა,—ამბობს ტრაქტორების ბრიგადირი ტროფიმე გოლოტა, — ჩვენს კოლმეურნეობაში იზრდება ვაზი, ხეხილი, ხორბალი—ყველაფერი, რა მცენარეც კი ხარობს ჩვენს უკრაინელ მიწაზე. თითქოს კარგად მიდის მუშაობა, ხოლო როცა გამოფენა ვინახულე, რამდენი აზრი მომივიდა თავში. მინდა შინ დავბრუნდე და ვუამბო, თუ რა ვნახე აქ, ვუამბო იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ კოლმეურნეები მთელს ჩვენს დიად მიწაზე.

— ამხანაგებო,—ამბობს ორდენოსანი ზაქარია კოვალჩუკი,—მე ვსვამ იმის სადღეგრძელოს, ვისაც ბრძოლებში მივყავდით, ვინც ჩვენთან იყო ჭირსა და ლხინში, ვინც აშენებს ბედნიერებას, მე ვსვამ ჩვენი საყვარელი **სტალინის** სადღეგრძელოს.

პოლია ვერბიცკაია იწყებს „სიმღერას სტალინზე“. ქალიშვილის ძლიერი, ლამაზი ხმა წკრიალებს ტბაზე. აი უკვე ათობით შეთანხმებული ხმა უერთდება სიმღერას. ირგვლივ ასობით ადამიანებს მოუყრია თავი და უსმენენ ნაცნობ მელოდიას. სულ უფრო მგზნებარედ და გამარჯვების კილოზე გაისმის სიმღერა. მოდის ზაფხულის თბილი წვიმა. გამომშვიდობებისას ყველას გული სწყდება. ზედიზედ სვამენ სადღეგრძელოებს. აიშე გურგენიძე, მარიამ ფუნდუკიძე და საქართველოს დელეგაციის სხვა მონაწილენი თხოულობენ ხმამაღლა წაიკითხონ წერილი, რომელშიც ისინი უამბობენ, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მათზე უკრაინის პავილიონმა.

უკრაინის პავილიონის დათვალიერება აღაფრთოვანებს ადამიანს ბრძოლისათვის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად შეჯიბრებაში უკრაინისა და საქართველოს კოლმეურნეთა შორის. ამ შეჯიბრების ხელშეკრულებაში შეტანილ უნდა იქნას მუხლები 1940 წელს გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად ბრძოლის შესახებ.

ახლოვდება წასვლის დრო. უკრაინელები და ქართველები ემშვიდობებიან ერთმანეთს ახალ შეხვედრამდე, ახალ გამარჯვებებამდე!

ა. შაროვი.

(5 აგვისტოს „პრავდა“).

ზაოზერნაიას რაიონში მეთაურებმა აღმართეს ტყვიითა და ხელყუმბარებით დაცხრილული წითელი დროშა.

საკდესის ფოტოქრონიკა

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გაყოფის შესახებ

გაიყოს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ორ სახალხო კომისარიატად:

1. საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატად, რომლის შემადგენლობაში შევიდეს:
   ა) აბრეშუმის მრეწველობის საწარმოები;
   ბ) მაუდ-კამვოლის მრეწველობის საწარმოები;
   გ) ბამბის მრეწველობის საწარმოები;
   დ) მრეწველობის აღნიშნულ დარგთა დამხმარე საწარმოები.
2. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატად, რომლის შემადგენლობაში შევიდეს:
   ა) ტყავის მრეწველობის საწარმოები;
   ბ) ფეხსაცმლის მრეწველობის საწარმოები;
   გ) საგალანტერიო მრეწველობის საწარმოები;
   დ) სამკერვალო მრეწველობის საწარმოები;
   ე) ნაბდის მრეწველობის საწარმოები;
   ვ) მრეწველობის აღნიშნულ დარგთა დამხმარე საწარმოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი ა. ჯორბენაძე

4 აგვისტო, 1939 წ. ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ლ. ა. რუხაძის საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ლონგინოზ ალექსანდრეს-ძე რუხაძე საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი ა. ჯორბენაძე

4 აგვისტო, 1939 წ. ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. გ. ა. ჯაბუას საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის დროებით აღმსრულებელი ა. ჯორბენაძე

4 აგვისტო, 1939 წ. ქ. თბილისი.

ახალი სამგზავრო თვითმფრინავი

ერთერთ აეროდრომზე წარმატებით მიმდინარეობს ახალი მსუბუქი სამგზავრო თვითმფრინავის გამოცდა. იგი წარმოადგენს თავისუფლადმზიდავ მონოპლანს. ამ თვითმფრინავზე დადგმულია 140 ცხენძალის საბჭოთა მოტორი.

მფრინავმა, რომელიც თვითმფრინავს სცდის, საკდესის კორესპონდენტს აცნობა, ახალი თვითმფრინავი ხუთადგილიანია. მანქანა ჩინებული სამართავია და განირჩევა კარგი მანევრირებით.

თვითმფრინავი გათვალისწინებულია ადგილობრივი მნიშვნელობის სამგზავრო ხაზებისათვის. პილოტაჟის სიმარტივე საშუალებას იძლევა, რომ ამ თვითმფრინავით ახალგაზრდა პილოტებმა იფრინონ სასწავლო თვითმფრინავზე მუშაობის დამთავრებისთანავე.

(საკდესი).

ა.-წ. 7 აგვისტოს, საღამოს სრულ 7 საათზე, რაიკომის სხდომათა დარბაზში (შაუმიანის ქ. № 1) მოწვეულია

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მორიგი პლენუმი

დღის წესრიგი:

1939 წლის პირველი ნახევრის საწარმოო გეგმების შესრულების შედეგებზე და რაიონის საწარმოებში მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრების გაშლის მიმდინარეობის შესახებ (მომხსენებელი ამხ. **პოლოსიანი**).

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. 26 კომისრის სახელობის რაიკომი

ა.-წ. 7 აგვისტოს, საღამოს სრულ 7 საათზე, მოწვეულია

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომის მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგი:

1939 წლის პირველი ნახევრის საწარმოო გეგმების შესრულების შედეგებზე და რაიონის საწარმოებში მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრების გაშლის მიმდინარეობის შესახებ (მომხსენებელი რაიკომის მდივანი ამხ. **ი. ძებისაშვილი**).

პლენუმი მოწვეულია პარტრაიკომის სხდომათა დარბაზში (ა.-კ. ფედერაციის ქ. № 2).

საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. კიროვის სახელობის რაიკომი

ხელი მოაწერეთ მესამე ხუთწლედის სესხზე! განამტკიცეთ ჩვენი სამშობლოს ძლიერება!

სესხზე ხელმოწერის პირველი დღეები საქართველოში

(საუბარი საქართველოს სსრ ფინსახკომ ქ. ს. ციმაკურიძესთან)

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში მესამე ხუთწლედის (მეორე წლის გამოშვების) სესხზე ხელმოწერის მსვლელობის შესახებ საქართველოში, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარმა ქ. ს. ციმაკურიძემ განაცხადა:

— ორდენოსანი საქართველოს ქალაქებისა და საკოლმეურნეო სოფლების მშრომელები განსაკუთრებული ენტუზიაზმითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას მესამე ხუთწლედის სესხის (მეორე წლის გამოშვების) გამოშვებას. გაჩაღებული ხელმოწერა და ხელმოწერაზე გამართული მიტინგები ნათელი დემონსტრაცია იყო საქართველოს ხალხთა მგზნებარე პატრიოტული გრძნობებისა, ხალხთა რომლებიც გამსჭვალული არიან მგზნებარე სურვილით მიაღწიონ ახალ გამარჯვებებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, დიადი საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებაში.

სესხზე ხელმოწერის პირველ სამ დღეში საქართველოს სოციალისტურმა ქალაქებმა და საკოლმეურნეო სოფლებმა სახელმწიფოს სესხად მისცეს 93.358 ათასი მანეთი მაშინ, როცა შარშან პირველ სამ დღეში ხელმოწერამ მოგვცა მხოლოდ 76.041 ათასი მანეთი. როგორც ქალაქად, ისე სოფლად სესხზე ხელმოწერის ტემპები წელს მნიშვნელოვნად აღემატება შარშანდელ ტემპებს.

საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები დიდ დახმარებას უწევენ ფინანსიურ მუშაკებს ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანიის ჩატარებაში.

საქართველოს სსრ ფინსახკომმა და შემნახველ სალაროების მთავარმა სამმართველომ ადგილებზე მიავლინა 45 მუშაკი, რათა მათ პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ ფინანსიური მუშაკების აქტივს, მოამარაგა ადგილები საჭირო ბლანკებით, ბროშურებით, ლოზუნგებითა და პლაკატებით ქართულ და რუსულ ენაზე.

აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ კახეთის რაიონები დასავლეთ საქართველოს რაიონებზე წინ მიდიან. აი, მაგალითად, თელავის რაიონი. შარშან პირველი სამი დღის განმავლობაში ამ რაიონმა მოგვცა 649 ათასი მანეთი, ხოლო წელს ამავე ხნის განმავლობაში — 1.103 ათასი მანეთი.

ხელმოწერის მნიშვნელოვანი ნაწილი კოლმეურნე გლეხობას ნაღდად შემოაქვს. ყარაიის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა სესხს ხელი მოაწერეს 18.000 მანეთის რაოდენობით და იმავე დღეს ნაღდად შემოიტანეს 6 ათასი მანეთი. ახალციხის რაიონის ვალეს სოფლის საბჭოს კოლმეურნეებმა სესხს ხელი მოაწერეს 24.500 მანეთის რაოდენობით და ნაღდად შემოიტანეს 12.000 მანეთი.

საქართველოს ფინანსიურ მუშაკთა შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სესხზე ხელმოწერის კამპანიის სანიმუშოდ ჩატარებისათვის. პირველი ადგილი სესხზე ხელმოწერაში სოფლის მოსახლეობას შორის უკავია ლანჩხუთის რაიონს (რაიონული შემნახველი სალაროს გამგე ამხ. ხოფერია). თუ შარშან პირველ სამ დღეში ამ რაიონის სოფლის მოსახლეობამ სესხს ხელი მოაწერა 135 ათასი მანეთის რაოდენობით, წელს მან 635 ათასი მანეთის რაოდენობით მოაწერა ხელი. ამ რაიონებს შორის, რომლებიც წინ მიდიან ქალაქის მოსახლეობას შორის სესხზე ხელმოწერის საქმეში უნდა აღინიშნოს ყვარლის რაიონი (რაიონული შემნახველი სალაროს გამგე ამხ. გაფრინდაშვილი). ამ რაიონმა, 86 ათასი მანეთის ნაცვლად, რაც შარშან შემოიტანა, წელს სახელმწიფოს მისცა 303 ათასი მანეთი.

ასეთი რაიონები ცოტა როდია. ყველა ისინი იბრძვიან პირველი ადგილის მოსაპოვებლად სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე სტალინური ხუთწლედის სესხზე ხელმოწერის სანიმუშოდ ჩატარებისათვის.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები სესხზე ერთსულოვანი ხელმოწერით ერთხელ კიდევ ცხადჰყოფენ თავის მგზნებარე სიყვარულსა და ერთგულებას ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი. (საქდესი).

სესხის რეალიზაცია თბილისში

5 აგვისტოს ღამის 10 საათისათვის თბილისში ახალ სესხზე ხელმოწერის თანხამ მიაღწია 39.537.495 მანეთს. გასულ წელს 4 დღის განმავლობაში თბილისში რეალიზებული იყო 34.452.160 მანეთის სესხი.

თბილისის რაიონებში ახალ სესხზე ხელმოწერის თანხამ მიაღწია: ლენინის რაიონში 5.409.025 მანეთს, სტალინის რაიონში — 7.644.510 მან., 26 კომისრის რაიონში—4.261.075 მან., ორჯონიკიძის რაიონში—3.686.080 მანეთს, კიროვის რაიონში—4.510.025 მანეთს, ბერიას რაიონში—9.966.540 მანეთს და მოლოტოვის რაიონში — 4.060.240 მანეთს.

სესხზე ხელმომწერთა რაოდენობა ამავე დროს 151.098-მდე ავიდა.

სესხზე ხელისმოწერა დიდი წარმატებით გრძელდება

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის რაიონის მშრომელები უდიდესი ერთსულოვნობით აწერენ ხელს ახალ სესხზე. ყოველდღიურად მატულობს სესხზე ხელისმომწერთა და სახელმწიფოსათვის სესხად მიცემული თანხების რაოდენობა. ეს ჩანს შემდეგი ფაქტიდანაც: თუ 3 აგვისტოს საღამოს 8 საათისათვის ქალაქად სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 17.387 მშრომელს 3.885.325 მანეთის რაოდენობით, 5 აგვისტოსათვის უკვე სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 18.657 მშრომელს 4.132.500 მანეთის რაოდენობით.

ასეთივე წარმატებით მიმდინარეობს სესხზე ხელისმოწერა ქუთაისის რაიონშიც. თუ 3 აგვისტოსათვის სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 849 მუშა-მოსამსახურეს 249 ათასი მანეთის რაოდენობით, 5 აგვისტოსათვის უკვე სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 1.024 მუშა-მოსამსახურეს 269.400 მანეთის რაოდენობით.

განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ კოლმეურნეები. თუ 3 აგვისტოსათვის ახალ სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 5462 კოლმეურნეს 205.500 მანეთის რაოდენობით, 5 აგვისტოსათვის უკვე სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 9.716 კოლმეურნეს 338.405 მანეთის რაოდენობით.

5 აგვისტოსათვის წყალტუბოს რაიონში მუშა-მოსამსახურეთა შორის ძირითადად უკვე დამთავრდა ახალ სესხზე ხელისმოწერა. 2.012 მუშა-მოსამსახურიდან 4 აგვისტოს უკვე ხელი მოწერილი ჰქონდა 1958 კაცს 443.230 მანეთის რაოდენობით. რაიონის 6.865 კოლმეურნეს და ერთპიროვნულ მეურნეს გუშინდელი დღისათვის ხელი მოწერილი ჰქონდა 284.095 მანეთის სესხზე.

აჭარის ასსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესია

5 აგვისტოს, საღამოს, ბათუმის ფაბრიციუსის სახელობის კლუბში გაიხსნა აჭარის ასსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია.

სესია გახსნა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა ი. მ. კორძაიამ. იგი აქვეყნებს სესიაზე განსახილველად წარმოდგენილი საკითხების სიას.

დეპუტატი ი. ლ. დვალი წინადადებას იძლევა განსახილველად წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნას სესიის დღის წესრიგში.

სესია ერთხმად ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს:

1. აჭარის ასსრ 1939 წლის ბიუჯეტის დამტკიცება და აჭარის ასსრ 1937 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცება. შემოაქვს აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს.
2. აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევნები. შემოტანილია აჭარის ასსრ კონსტიტუციის 76 მუხლის თანახმად.
3. აჭარის ასსრ კონსტიტუციის 108 მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ და აჭარის ასსრ მშრომელთა დეპუტატების სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ.
4. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცება, რომლებიც მიღებულია პირველი სესიიდან მეორე სესიამდე განვლილ პერიოდში, და რომლებიც დამტკიცებულ უნდა იქნას აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მიერ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა აჭარის ასსრ ფინანსთა სახალხო კომისარი, დეპუტატი ბ. ხ. ხალვაში.

მომხსენებელი ლაპარაკობს სოციალიზმის ქვეყნის ბიუჯეტზე და აღნიშნავს, რომ ის სავსებით შეესაბამება XVIII პარტყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და დიდი **სტალინის** გენიალურ მოხსენებაში ქვეყნის წინაშე მესამე ხუთწლედში დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს. აჭარის ბიუჯეტში ასახულია აჭარის მშრომელთა უდიდესი გამარჯვებანი, რაც მოპოვებულია ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით და ბრძოლით დიდი **სტალინის** ბრძნულ მითითებათა განხორციელებისათვის. ბელადის სახელის ხსენება დარბაზში იწვევს მქუხარე ტაშს, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველა დეპუტატი ფეხზე დგება. გაისმის მისალმების შეძახილები: **„ვაშა!", „გაუმარჯოს დიდ სტალინს!"**

დარბაზში კვლავ მქუხარე ტაში გრიალებს, როცა მომხსენებელი ლაპარაკობს ორდენოსანი საქართველოს განუყრელი ნაწილის — აყვავებული საბჭოთა აჭარის წარმატებებზე, რაც შედეგია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებისა, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პირადად ქართველი ხალხის ერთგული შვილის, საბჭოთა დაზვერვის მებრძოლი ხელმძღვანელის ამხანაგ **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობისა და დახმარებისა. ამხ. ხალვაშის მოხსენების შემდეგ სესიამ მოისმინა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ზ. ა. პირიაშვილის მოხსენება.

აჭარის ასსრ 1939 წლის ბიუჯეტზე და 1937 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო გაიხსნა კამათი.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: მ. მ. ბეჟანიძე, მ. ბ. ნარსია, ნ. ი. ნიჟარაძე.

ამის შემდეგ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის პირველი სხდომა დაიხურა.

იაპონელები არ ისვენებენ

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მყოფ მონღოლეთ-საბჭოთა ჯარის შტაბის ცნობით, 25 ივლისიდან 5 აგვისტომდე მონღოლეთ-საბჭოთა ჯარს მტკიცედ უკავია ადგილი მდინარე ხალხინ-გოლის აღმოსავლეთით და საბრძოლო განლაგებაში იმყოფება იაპონია-მანჯურიის ჯართან. იაპონელთა და მანჯურთა არაერთგზის ცდა იერიში მოეტანათ მონღოლეთ-საბჭოთა ჯარზე და სოლივით შეჭრილიყვნენ მათს განლაგებაში — აღკვეთილ იქნა არტილერიისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით, რამაც დიდი ზარალი მიაყენა იაპონელებსა და მანჯურებს.

ამ დღეების განმავლობაში მოხდა მთელი რიგი საჰაერო ბრძოლა. 28 ივლისს მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციამ საჰაერო იერიშით გაანადგურა იაპონიის 5 თვითმფრინავი, თვით კი ამ ოპერაციის დროს არც-ერთი თვითმფრინავი არ დაუკარგავს.

განსაკუთრებული აქტივობით მოქმედებდა იაპონელთა ავიაცია 29 ივლისს. რამდენიმე საჰაერო ბრძოლის შედეგად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, 29 ივლისს დღის განმავლობაში იაპონელებმა დაჰკარგეს 32 თვითმფრინავი — ამავე დღეს მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციამ ჩამოაგდო და ტყვედ წამოიყვანა იაპონელი მფრინავები ფიკუდი ტაკიო და პოდპორუჩიკი ტაბუტი. მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციის მხრივ არ დაბრუნებულა 4 მფრინავი; მათი ძებნა გრძელდება.

31 ივლისს რამდენიმე საჰაერო ბრძოლა მოხდა, რის შედეგად მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციამ ჩამოაგდო იაპონიის 5 გამანადგურებელი. მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციის მხრივ არ დაბრუნებულა 1 თვითმფრინავი.

1 აგვისტოს იაპონიის ყუმბარმშენი ავიაცია შემოიჭრა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაგრამ შეხვდა რა მონღოლეთ-საბჭოთა ავიაგამანადგურებლებს და საზენიტო არტილერიის ცეცხლს, ბრძოლის მიუღებლად და ყუმბარების ჩამოუგდებლად დაბრუნდა თავის ტერიტორიაზე, ამასთანავე დაჰკარგა 2 თვითმფრინავი, რომლებიც მონღოლეთ-საბჭოთა დადევნებულმა თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს. მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციის მხრივ მსუბუქად დაჭრილია 1 მფრინავი, რომელიც მშვიდობით დაეშვა თავის აეროდრომზე. 1 აგვისტოს ნაშუადღევს იაპონიის ყუმბარმშენი ავიაცია კვლავ შეეცადა ყუმბარები დაეშინა მონღოლეთ-საბჭოთა ჯარის განლაგებისათვის, მაგრამ უკუქცეულ იქნა საზენიტო არტილერიისა და ავიაგამანადგურებლების მიერ.

2 აგვისტოს, 8 საათზე მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მტრის აეროდრომს და გაანადგურა იაპონიის 8 თვითმფრინავი, გარდა ამისა, ჩამოაგდო 3 თვითმფრინავი აფრენისას. მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციას არაფერი დაჰკლებია.

3 აგვისტოს იაპონიის ყუმბარმშენები, ავიაგამანადგურებლების საფარქვეშ, შეეცადნენ თავდასხმა მოეხდინათ მონღოლეთ-საბჭოთა ჯარზე, მაგრამ, შეხვდნენ რა მონღოლეთ-საბჭოთა გამანადგურებლებს, დაჰკარგეს რა 2 ყუმბარმშენი, რომლებიც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს, მანჯურიის ტერიტორიაზე დაბრუნდნენ.

4 აგვისტოს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოხდა ორი საჰაერო ბრძოლა იაპონიის ავიაგამანადგურებლებსა და ყუმბარმშენებს და მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციას შორის. ამ ბრძოლათა შედეგად ჩამოგდებულია იაპონიის 10 თვითმფრინავი. მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციის აეროდრომებზე არ დაბრუნებულა 1 თვითმფრინავი. (საქდესი).

იაპონელები ტერორით აშინებენ ინგლისელებს და ამერიკელებს ჩინეთში

ლონდონი, 5 აგვისტო (საქდესი). გუშინ ტიანძინში მოხდა იაპონელების მიერ პროვოცირებული გამოსვლა ინგლისის წინააღმდეგ. 200 კაცი თავს დაესხა ინგლისის ერთი ფირმის შენობას. თანამშრომლები იძულებული გახდნენ ამ შენობის მახლობლად შეეფარებინათ თავი. როცა ისინი დაბრუნდნენ, მთელი ავეჯი დამტვრეული იყო, ფანჯრები დალეწილი, სადილო დანგრეული. ინგლისის მოწინააღმდეგე ელემენტები კაიფინში ემუქრებიან იქ მცხოვრებ ამერიკელების სიცოცხლესა და საკუთრებას. ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ მკაცრი პროტესტი განუცხადა იაპონიას.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

დიდია საბჭოთა ქვეყნის შემოქმედებითი ძალები

მოსკოვი, (ბილდაპარატით) — მე მაგონდება 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც გახსნილი იყო მოსკოვში ახლანდელი გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე. ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი გზა გაიარა ამ წლების განმავლობაში! დიადი გზა! და მთელ ქვეყანასთან ერთად იზრდებოდნენ ადამიანებიც. მე ხშირად ვუფიქრდები ჩემი ცხოვრების გზას—შავი მუშიდან ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორამდე. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია მისცეს გასაქანი შემოქმედებით ძალთა ნამდვილ აყვავებას. 1939 წლის გამოფენა ამის ბრწყინვალე დადასტურებაა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევებისა და გამარჯვებების ღრმა ანალიზი მოგვცა თავის სიტყვაში გამოფენის გახსნაზე ამხანაგმა მოლოტოვმა. ამ სიტყვამ გადაგვიშალა ჩვენს ქვეყანაში იმ სოციალურ ძვრათა მიზეზები, რომლებიც მოხდა ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში. ჩვენ ამჟამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყანა ღატაკი, ჩამორჩენილი ქვეყნიდან, როგორიც ის იყო ცარიზმის დროს, ბოლშევიკური პარტიის ნებისყოფით გადაიქცა სოციალიზმის აყვავებულ ბაღნარად. ამხანაგ მოლოტოვის სიტყვამ მოგვცა შემდგომი მუშაობის ნათელი და ზუსტი პროგრამა. იგი მთელს ქვეყანას აღაფრთოვანებს ახალი სტახანოვური გამარჯვებებისათვის, სოციალისტურ მინდვრებზე და მრეწველობაში რეკორდების მიღწევისათვის საბრძოლველად. მე, სოფლის მეურნეობის მეცნიერ მუშაკს, მან ფრთები შემასხა შემდგომი, უფრო შეუპოვარი შრომისათვის ხალხის საკეთილდღეოდ.

ნ. კეცხოველი

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, გამოფენის მონაწილე.

მოწინავე ტრაქტორისტები

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ყვარლის მტს-იდან საუკეთესო მაჩვენებლებით მიდის ოცზე მეტი ტრაქტორისტი. მტს-ის სტახანოველმა ტრაქტორისტებმა გამოფენაში მონაწილეობისათვის ენერგიული მუშაობის შედეგად დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მაგალითად, სტახანოველი ბრიგადირის ვ. ბუზალაძის ბრიგადას სოცშეჯიბრებაში ჩაბმისას აღებული ვალდებულებით წლიურად უნდა დაემუშავებინა რბილ ხვნაზე გადაყვანით 1260 ჰექტარი, ფაქტიურად კი დაამუშავა 1847 ჰექტარი, კარგად გამოიყენა წყლის კარბიურატორები და გააკეთა 1100 კილოგრამი საწვავის ეკონომია. აღნიშნულმა ბრიგადამ მიმდინარე წლის ხვნა-თესვის სამუშაოებიც ვადაზე და მაღალხარისხოვნად შეასრულა.

ცნობამ გამოფენაში მონაწილეობის უფლების შესახებ კიდევ უფრო აღაფრთოვანა ამხ. ბუზალაძის ბრიგადა და ვადაზე ერთი დღით ადრე —12 სამუშაო დღეში კომბაინით აიღო მოსავალი 252 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 210 ჰექტარისა.

ამ ბრიგადამ პირველი ადგილი დაიკავა აგრეთვე ხორბლეულის ლეწვის საქმეში. სალეწი მანქანის სადღეღამო დატვირთვა აიყვანა 25 ტონამდე, სულ კი გალეწილი აქვს 577 ტონა ხორბალი. ამჟამად ამხ. ბუზალაძის ბრიგადა ეხმარება მეხუთე სატრაქტორო ბრიგადას.

ამხ. ბუზალაძემ და მისმა ბრიგადამ ამ წარმატებებს მიაღწიეს შრომის სწორი ორგანიზაციით, თვითეული ტრაქტორისტისათვის შესაფერი დახმარებით, სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლით, სტახანოვური გამოცდილების დანერგვით.

ტრაქტორისტი სტახანოველი ამხ. ი. ლალიაშვილიც საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ღირსეული მონაწილეა. მან, ნაცვლად გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებული 350 ჰექტარისა, „სტზ" მარკის ტრაქტორით გამოიმუშავა 519 ჰექტარი. ამჟამად სტახანოველი ი. ლალიაშვილი აოშვის გეგმას ასრულებს 150-180 პროცენტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6 ჰექტარისა, ყოველდღიურად ამუშავებს 9-11 ჰექტარს. გარდა ამისა, მისი ტრაქტორი საუკეთესოდ მუშაობდა ამხ. მარტიაშვილის კომბაინთან,—11 სამუშაო დღეში მოსავალი აიღო 235 ჰექტარზე.

გამოფენის ასეთივე ღირსეული კანდიდატები არიან: სტეფანე ქაძე, არტემ სარქისოვი, მ. ხვთისაფრაშვილი, ნ. ეკოშვილი, ა. კოკონაშვილი, ა. დოლმაზაშვილი, ა. ბუხრაშვილი, ვ. პეტრიშვილი და სხვ.

გამოფენის კანდიდატები არ კმაყოფილდებიან მიღწეული წარმატებებით. მათ მტს-ის სტახანოველთა თათბირზე ახალი ვალდებულებები აიღეს—20 აგვისტოს, გამოფენაზე გამგზავრების დღეს, შეხვდნენ კიდევ უფრო უკეთესი მაჩვენებლებით, ახალი წარმატებებით.

ვ. ტალახაძე
დ. ტუეშელაშვილი

ნორჩი ნატურალისტები სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი

ორდენოსანი საქართველოს ბედნიერი ახალგაზრდა თაობა ფართო მიღწევებით წარსდგა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. მოსწავლე ბავშვებმა უკვე გაუგზავნეს საბავშვო პავილიონს ლიმონის, გრეიპფრუტის, მანდარინის, ფეიხოიას და სხვა სუბტროპიკულ მცენარეთა ძვირფასი ექსპონატები.

საქართველოდან სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობას ღებულობს 57 ნორჩი ნატურალისტი. ამ მხრივ აღსანიშნავია ლანჩხუთის რაიონის პიონერ-მოსწავლეების წარმატებანი. ამ რაიონიდან 15 პიონერ-მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

ძმები ჭიჭიკო და გიორგი მითაიშვილები ფრიადოსანი მოსწავლეები არიან. ისინი ამავე დროს სუფსის კოლმეურნეობის აქტიურ წევრებად ითვლებიან, ენერგიულად მუშაობენ კოლმეურნეობაში, თვალისჩინივით უვლიან ციტრუსოვან მცენარეებს. მითაიშვილებმა კარგად აითვისეს ციტრუსების მყნობის ტექნიკა. ისინი მყნობის საუკეთესო ოსტატებად ითვლებიან. დღეში ორივე 3 ათას ცალ ციტრუსს ამყნობს; გახარება 95 პროცენტამდე აღწევს.

მითაიშვილებმა კოლმეურნეობის საერთო კრებაზე აიღეს ვალდებულება, რომ 1939 წლის სეზონში 20 ათას მცენარეს დაამყნობენ.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ბავშვთა პავილიონში გაიგზავნა მითაიშვილების მოვლილი ლიმონის, გრეიპფრუტის, ფეიხოას და მანდარინის ექსპონატები.

მახარაძის რაიონის სოფ. მერიის კოლმეურნეობაში აქტიურად მუშაობს მოსწავლე გოგონა კაკალა ჩავლეიშვილი. ის ფრიადოსანია, ამავე დროს მშობლებს ეხმარება მუშაობაში. კაკალა 3 წელი ემზადება სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად. ერთ ძირ ლიმონის ხეზე ნაცვლად ორასისა 400 ცალი ნაყოფი მიიღო. ჩავლეიშვილის მოვლილი ნაყოფით დახუნძლული ლიმონი უკვე გაიგზავნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

სოხუმის რაიონიდან სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა სოფელ დრანდის პიონერ-მოსწავლე გ. კალანდია. ის საუკეთესოდ უვლის ციტრუსოვან მცენარეებს, გასულ წელს ერთ ძირ მანდარინზე 500 ცალი ნაყოფი მიიღო.

აღსანიშნავია გორის რაიონის პიონერ-მოსწავლეების მუშაობა. დავარაშვილმა, ლ. სეფისკვერიძემ, ვ. კასრაძემ და სხვებმა დაამზადეს იმ სახლის მაკეტი, სადაც თავისი ბავშვობა და ყრმობა გაატარა დიდმა ბელადმა — ამხანაგმა სტალინმა.

თბილისის ნორჩ ნატურალისტთა სადგურიდან გამოფენაში მონაწილეობას ღებულობს 11 ბავშვი, მათ შორის ი. კოლესნიკოვი, ს. დათუაშვილი, **თ. ჩარგოლაშვილი**, თ. რუხაძე და სხვ.

ელენე ქუთათელაძე

საქართველოს საგამოფენო კომიტეტის აგროინსპექტორი

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარ კომიტეტში

სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებელი ბილეთების შესახებ

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დამთვალიერებელთა დიდი მოზღვავებისა და ამასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გამო, გამოფენის მთავარმა კომიტეტმა დაადგინა:

1. გადიდდეს ბილეთების გაყიდვა სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 30000 ცალამდე დღეში, ადგილებიდან ორგანიზებულად მომსვლელთა ჩაუთვლელად.
2. დაწესდეს ბილეთების ღირებულება 2 მანეთი (საქდესი).

სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე

გამოფენის მნახველთა რიცხვი კვლავ მატულობს. ერთი-ორად გაიზარდა მოსკოველთა რაოდენობა: მოსკოველები ახლა 20 ათასი კაცის რაოდენობით მოდიან გამოფენაზე ყოველდღიურად. 5 აგვისტოს ექსკურსანტების მორიგი პარტია ჩამოდის სსრ კავშირის ყველა კუთხიდან — დაახლოებით 7 ათასი კაცი. 5 აგვისტოს გამოფენაზე სულ 55 ათას მნახველს მოელიან.

თითქმის ყველა პავილიონში მოწყობილია მნახველთა აღრიცხვა. პირველი ცნობები გვიჩვენებენ, რომ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მთავარი პავილიონი, საქართველოს სსრ, უზბეკეთის, შორეული-აღმოსავლეთის, მექანიზაციისა და „ზერნოს" პავილიონები.

ამ უკანასკნელ დღეებში ჩამოსულ ექსკურსანტთა შორის ბევრია წარჩინებული ადამიანი. საქართველოს სს რესპუბლიკის პავილიონში თავიანთ სტენდებთან ხშირად არიან ცნობილი მეჩაიეები: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ოჩამჩირის რაიონის (აფხაზეთის ასსრ) ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი უშა ახუბა და მასთან შეჯიბრებაში მყოფი ორდენოსანი ცაცა ქარდავა — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. უშა ახუბა ცალკეულ დღეებში დაახლოებით 340 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფდა (ნორმა 12 კილოგრამია). საქართველოს სსრ პავილიონში შეიძლება შევხვდეთ აგრეთვე ზუგდიდის რაიონის არტელ „ინგირის" კოლმეურნე ქიონია სარსანიას. მან ჩაის ფოთლის მოსავლიანობის მსოფლიო რეკორდს გადააჭარბა, 0,8 ჰექტარზე 10.880 კილოგრამი მიიღო (რესპუბლიკაში საშუალო მოსავალი 2.174 კილოგრამია ჰექტარზე).

აზერბაიჯანის სსრ პავილიონი 4 აგვისტოს ინახულა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ორდენოსანმა ბასტი ბაგიროვამ, აზერბაიჯანის ბამბის პლანტაციების სტახანოვური მოძრაობის ინიციატორმა. მასთან ერთად ჩამოვიდნენ მისი მიმდევრები — მანია ქერიმოვა და აგჯა ალიევა. გამოფენაზე ჩამოსულია ცნობილი მეციტრუსე ხაკიმ ბაბა მამედოვი — კასრებში ლიმონის გაშენების ოსტატი. მან თან ჩამოიტანა 22 ძირი ლიმონი.

ყველა ესენი ესაუბრებიან გამოფენის მნახველთ, უხსნიან მათ თავიანთი მუშაობის მეთოდებს.

○

გრძელდება ახალი ექსპონატების მიღება. აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის პავილიონმა მიიღო ბრიგადირ მოროზოვის მიერ მოყვანილი საზამთროები. ეს საზამთროები ცნობილია „თუჯის მეფის" სახელწოდებით. თვითეული მათგანი ფუთზე მეტს იწონის. თვითმფრინავით მიღებულია ატამი ხაჩმასის რაიონის „III ინტერნაციონალის" კოლმეურნეობიდან. 4 აგვისტოს ახალი მოსავლის დიდძალი ბოსტნეული და ხილია მიღებული „პოვოლჟიეს" პავილიონში. ჩკალოვის ოლქის მცდელმა აგრონომმა ბისტროვმა ჩამოიტანა მის მიერ გამოყვანილი ქერის ახალი ჯიშები.

○

გამოფენაზე გავრცელდა გამოცდილების გაზიარების ახალი ფორმა: მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა - ტრაქტორების სადგურთა წარმომადგენლების შეხვედრა.

4 აგვისტოს საქართველოს სს რესპუბლიკის პავილიონში მოეწყო გამოფენაზე საქართველოდან და უკრაინიდან ჩამოსულ მონაწილეთა შეხვედრა. ეს რესპუბლიკები ეჯიბრებიან ერთმანეთს დიდი მოსავლისათვის. ამ რესპუბლიკათა წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება. სტალინის სახელობის არტელის კოლმეურნეებმა (უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონი) ყურადღებით დაათვალიერეს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის (საქართველოს სსრ, მახარაძის რაიონი) ექსპონატები. ეს კოლმეურნეობები დიდი ხანია ეჯიბრებიან ერთმანეთს. ამჟამად, გამოფენაზე შეხვედრის შემდეგ, მათ გადასწყვიტეს დამატებითი მაჩვენებლები შეიტანონ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაში. (საქდესი).

უკრაინის სსრ პავილიონი

უკრაინის სსრ პავილიონი გამოფენის ერთერთი ისეთი პავილიონია, რომელსაც ყველაზე ბევრი ხალხი ათვალიერებს.

პავილიონის შესასვლელთან სტუმრებს ხვდება ორი ქანდაკება: „ინდუსტრიის სტახანოველები" და „სოფლის მეურნეობის სტახანოველები". ფასადის ცენტრში მნახველები ინტერესით ათვალიერებენ სკულპტურულ თაღს, რომელიც უკრაინის სიმდიდრეს ასახავს. აქვე, პავილიონის შესასვლელთან, მოსკოვის ნიადაგზე დარგულია ალვის ხეები, აკაციები, ტირიფები, პოლტავშჩინის, კიევშჩინის, ოდესშჩინის მცენარეულობა.

პავილიონის სამ დარბაზში განლაგებული და დაკიდებულია შესანიშნავი ექსპონატები. ყოველივე ეს არის სტახანოვური შრომის, შემოქმედებითი ინიციატივით, კოლმეურნეთა გონებამახვილობის ნაყოფი. მიმსვლელი ფეხს შესდგამს უზარმაზარ ხალიჩაზე, რომელიც მთელ შესავალ დარბაზშია გაჭიმული. ეს ხალიჩა, 90 კვადრატული მეტრი ზომისა, მოქსოვილია ხალხური შემოქმედების ოსტატების მიერ. ასეთივე საუცხოო ხალიჩა გაჭიმულია მთელ კედელზე. იგი მოქსოვილია ხალხური შემოქმედების ოსტატთა კიევის სკოლაში პროფესორ კრიჩევსკის ესკიზის მიხედვით. ხალიჩას მთელ სიგანეზე აქვს წარწერა: „ხაი ჟივე რიდნი სტალინ!" კედლებზე არის ბარელიეფები. ეს ბარელიეფები მიძღვნილია უკრაინელი ხალხის გმირული ბრძოლის ეპიზოდებისადმი, ხალხისა, რომელმაც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი მუშებისა და გლეხების დახმარებით, გასწმინდა თავისი მიწა-წყალი თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტებისაგან და ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრება მოიპოვა.

კოლმეურნე ექსკურსანტებს ყველაზე უფრო იზიდავს სტენდი, რომელიც ასურათებს უკრაინელი ხალხის გამარჯვებას სოფლის მეურნეობაში. რესპუბლიკაში შექმნილია 802 საბჭოთა მეურნეობა, 1.016 მტს-ი, 27.393 კოლმეურნეობა, რომლებშიც გაერთიანებულია გლეხურ მეურნეობათა 91,3 პროცენტი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში მუშაობს 87.200 ტრაქტორი, 28.900 კომბაინი, 46.700 სატვირთო ავტომანქანა, ათეული ათასობით რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები.

შემდეგ დარბაზში ასობით ექსპონატები გვაცნობენ უკრაინის საუცხოო ბაღებს, მის ვენახებს, მსუქან ჯოგებს. მაგიდებზე მრავალი ჯიშის ხილი აწყვია.

„უკრაინაში ბამბა არ ყოფილა — ბამბა ახლა არის"—ასეთი სათაური აქვს ერთერთ სტენდს. 1930 წელს რესპუბლიკაში აიღეს 0,7 ცენტნერი ნედლი ბამბა ჰექტარზე, ახლა კი იღებენ—5,9 ცენტნერს. შარშან ბამბის ნათესი ფართობი 228.500 ჰექტარს შეადგენდა. შემდეგი განყოფილება მოგვითხრობს აკადემიკოს ლისენკოს ნამუშევარზე, იმაზე, თუ ორი წლის წინათ როგორ გააშენეს უკრაინაში ახალი ჯიშის ბამბა „ოდესური № 1" (საქდესი).



სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონები: ბაშკირეთის ასსრ და თურქმენეთის სსრ

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასანის ტბასთან სამურაების განადგურების წლისთავი

ბეზიმიანაიას მაღლობზე მომხდარი პირველი ბრძოლის მონაწილის, ორდენოსანი მესაზღვრის მ. კუვშინოვის ნაამბობი

1938 წლის 29 ივლისს იშვიათად ბნელი და ნოტიო ღამე იყო. სიჩუმეა, უდაბური ადგილია. ცივი ქარი ფარაჯის კალთებს აფრიალებს. უცბად მოვარდება და ისევე უცბად გაჰქრება იგი სადღაც, მთების იქით, ზღვის ყურის მაღალ ლერწმებში შრიალით. ამ ღამეს ჩვენი მესაზღვრე რაზმი, 11 კაცისაგან შემდგარი, სახელმწიფო საზღვარს იცავდა ბეზიმიანაიას მაღლობზე. რაზმში იყო 9 წითელარმიელი—ამხანაგები: ბიგუსი, ლესნიაკი, კობიაკოვი, შმელევი, სავინიხი, კოსობოკოვი, პოზდეევი, ემცევი და კუვშინოვი, აგრეთვე ათეულის მეთაური ამხ. შლიახოვი და რაზმის უფროსი, ლეიტენანტი ამხ. მახალინი—სასაზღვრო საგუშაგოს უფროსის თანაშემწე.

ყოველი 20-30 წუთის შემდეგ ლეიტენანტი ამხ. მახალინი შემოივლის საგუშაგოებს, ამოწმებს, წესიერად ვასრულებთ თუ არა სამსახურს, აზუსტებს დაკვირვების სექტორებს, ხუმრობს და ამხნევებს მებრძოლებს. სადილის შემდეგ ლეიტენანტმა ამხ. კოსობოკოვს უბრძანა შეეცვალა მეთვალყურე ამხ. პოზდეევი. ვიკავებთ ადგილს ღია სანგრებში, ვინიღბებით ბალახით, ფოთლებით. წინ გაშლილი ადგილია, ყველაფერი კარგად ჩანს.

დურბინდში შევნიშნე ბორცვიდან ამოსული რამდენიმე ძროხა. წინათ ძროხები აქ არასოდეს არ ყოფილა. შემდეგ გამოჩნდა სამოქალაქო ფორმით გამოწყობილი ორი მამაკაცი, რომლებიც თავს, ალბათ, მწყემსებად გვიჩვენებდნენ.

ყოველივე ამან ეჭვები გამოიწვია. პირობითი ნიშნით ავაყენე ამხ. კოსობოკოვი და მივეცი დავალება დაუყოვნებლივ მოეხსენებინა ლეიტენანტ ამხ. მახალინისათვის ყოველივე, რაც შევამჩნიე. კოსობოკოვმა ვერც კი მოასწრო ცოტათი მოშორება, რომ მწვანე კონცხიდან გამოჩნდა იაპონელთა და მანჯურთა ჯგუფი. ისინი აჩქარებული ნაბიჯით მოიწევდნენ ჩვენსკენ.

ჩემთან მოცოცდა ამხ. მახალინი. მივუთითე იაპონელებსა და მანჯურებზე, რომლებიც გვიახლოვდებოდნენ. ლეიტენანტმა დურბინდი მოიმარჯვა.

გასაგებია! ყველანი, როგორც ერთი კაცი, შეიარაღებული არიან, —სთქვა მან და ამასთან ათვალიერებდა დაუპატიჟებელ სტუმრებს.

მახალინი მომიბრუნდა და მიბრძანა:

გადაეცი ყველას, რათა დაუყოვნებლივ აქ იყვნენ. თან წამოიღეთ საომარი მასალა.

საგუშაგოს მოედო საგანგაშო ცნობა, რომ საბჭოთა საზღვართან შეიარაღებული იაპონელებისა და მანჯურების ჯგუფი გამოჩნდა. გვიპასუხეს, საგუშაგო მზად არის საბრძოლველად და მოიჩქარის რაზმის მოსაშველებლადო.

თერთმეტივე გაწვა ბეზიმიანაიას თხემზე მოწინააღმდეგის მოლოდინში, რათა მას გამანადგურებელი ცეცხლით შეხვედროდა. სულ უფრო და უფრო მოკლდება მანძილი, რომელიც ჩვენ ბანდიტებისაგან გვაშორებს. აი, ისინი უკვე გარკვევით ჩანან. ეტყობა, სამურაებმა ჩვენ შეგვამჩნიეს, ორ ჯგუფად გაიყვნენ, დაარღვიეს საზღვრის ხაზი და ჩვენი გარშემორტყმა მოიწადინეს.

როდესაც ავანტიურა აშკარა ფაქტი გახდა, ლეიტენანტმა ამხ. მახალინმა გვიბრძანა ცეცხლი დაგვეშინა. იაპონელ პროვოკატორებს თოფისა და ტყვიამფრქვევის გრიგალისებური სროლა ავუტეხეთ. გაისმა კვნესა, კივილი.

მტრის ორივე ჯგუფი გაწვა ბალახში, ამასთან განაგრძობდა ინტენსიურ სროლას ჩვენი რაზმის წინააღმდეგ ხელყუმბარებისა და დაზგიანი ყუმბარების ცეცხლის დახმარებით. ბორცვიდან გამოხტა იაპონელთა და მანჯურთა მესამე ჯგუფი, რომელიც ველური ყვირილით „ბანზაი" ფრონტიდან იერიშზე გადმოვიდა.

ტყვიამფრქვეველმა ამხ. ემცოვმა, რომელიც მაღლობის მარცხენა დაღმართზე იმყოფებოდა, სეტყვასავით დაუშინა თავისი ტყვიამფრქვევი და შეაჩერა ბანდიტების იერიში.

გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა. მოწინააღმდეგემ, რომელიც რიცხობრივად და სასროლო საშუალებით ბევრად აღემატებოდა ჩვენს ძალებს, აამუშავა ყუმბარმტყორცნები და ჩვენი რაზმის წინააღმდეგ განუწყვეტელი ბრძოლა გააჩაღა.

აი უკვე დასჭრეს ბიგუსი, კობიაკოვი, შმელევი და სხვები, მაგრამ ბრძოლის ველიდან არავინ მიდის, ისინი უკანასკნელ ძალებამდე იგერიებენ მტრის შემოტევას და სიცოცხლეს არ ზოგავენ საყვარელი სამშობლოს საზღვრების ხელშეუხებლობის დასაცავად.

მაშველი ნაწილების მისვლისთანავე იაპონელთა და მანჯურთა სამივე ჯგუფმა გააფთრებული იერიში მოიტანა და ყოველი მხრიდან გარს შემოგვერტყა. ჩვენ ვიწრო რკალში აღმოვჩნდით.

ჭრილობებისაგან ღონემიხდილი ლეიტენანტი ამხ. მახალინი პირდაპირ ესროდა მაუზერს თავდამსხმელებს. თოფების სროლისა და გამსკდარი ყუმბარების გრიალში გაისმა მისი მგზნებარე მოწოდება:

—ამხანაგებო! დავიხოცნეთ, მაგრამ მტერს ნუ დავნებდებით! გაუმარჯოს **სტალინს!** გაუმარჯოს სამშობლოს!

საყვარელი ბელადის სახელით აღფრთოვანებულებმა, ჩვენ ხელჩართული ბრძოლა გავუმართეთ მტერს, ვესროდით ყუმბარებს, ვიგერიებდით თოფის კონდახებით. ჩემს წინ ეცემა სასიკვდილოდ გულგანგმირული საშა სავინიხი. ბალახზე გდია ვანია შმელევი, ვასია პოზდეევი.

იაპონელი ოფიცრები ამოღებული ხმლებით გვიტევდნენ თვითეულ ჩვენგანს და ცდილობდნენ ტყვედ წავეყვანეთ: აი ვხედავ მოჰქრის ჩემსკენ ერთერთი მათგანი, რომელსაც აღუმართავს მზეზე მოელვარე ხმალი. მე პირისპირ შევხვდი ბანდიტს და ხიშტით განვუგმირე გული.

გაჰურებული ხელჩართული ბრძოლის დროს გმირული სიკვდილით დაიღუპა ჩვენი მებრძოლი მეთაური, ახლობელი მეგობარი და ამხანაგი ლეიტენანტი ალექსი მახალინი. მაგრამ, ვიდრე მტრის ტყვიით მოკვდებოდა, მან ბეზიმიანაიას ფერდობებზე ბევრი იაპონელი სამურაები მიაწვინა, იგი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდა საბჭოთა მიწა-წყლის ხელშეუხებლობას.

მახალინის სიკვდილმა კიდევ უფრო აღანთო ჩვენში შურისძიების, სამაგიეროს გადახდის გრძნობა. ჩვენ იაპონელ სამურაებს ვურტყამდით მანამ, ვიდრე ჩვენს ხელებს შაშხანის დაჭერის უნარი შესწევდა.

მაგრამ ჩვენი ძალები იფიტებოდა. გამოსავალი ერთიღა იყო: გაგვერღვია რკალი და თავდაცვის პოზიცია დაგვეჭირა მაღლობის ფერდობთან. განყოფილების მეთაურმა ამხ. შლიახოვმა, რომელმაც მახალინის ადგილი დაიჭირა, გვიბრძანა:

— გაარღვიეთ რკალი!

უკანასკნელი ძალის დაძაბვით ჩვენ ვეკვეთეთ სამურაების ალყას, გზას ვიკაფავდით ხიშტებითა და შაშხანის კონდახებით. როგორც იქნა, გავარღვიეთ რკალი და თავდაცვის პოზიცია დავიკავეთ ბეზიმიანაიას მწვერვალის ქვემოთ 100 მეტრ მანძილზე. რკალიდან გამოსვლის მომენტში მე მეორე მძიმე ჭრილობა მივიღე ფეხში. კოსობოკოვი და ბიგუსი ხმლებით აჰკუწეს. ცოცხლად დარჩენილი ექვსი კაცი—ლესნიაკი, კობიაკოვი და სხვები — განაგრძობდნენ თავდაცვის ხაზის შენარჩუნებას მტრის განუწყვეტელ ცეცხლში და უკანასკნელ ვაზნებს ხარჯავდნენ. ამ დროს ჩვენ მოგვივიდა მაშველი ნაწილი—მესაზღვრეთა ჯგუფი საგუშაგოს უფროსის ამხ. ბიხოვცევის მეთაურობით და ლეიტენანტ ამხ. ლევჩენკოს ასეული. გორაკების ფერდობები ძლევამოსილ „ურას" ძახილმა მოიცვა.

პანიკითმოცულმა გათავხედებულმა სამურაებმა, ვერ გაუძლეს რა ელვისებურ იერიშს, უკან დაიხიეს და ჩვენს ტერიტორიაზე დასტოვეს მოკლულნი და დაჭრილნი. ბეზიმიანაიას მაღლობი კვლავ ჩვენს ხელში იყო.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა 11 მესაზღვრის მიერ ჩადენილ გმირობას და ყველანი ორდენებით დააჯილდოეს. ლეიტენანტ მახალინს მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება.

ხასანის ტბასთან ბრძოლების მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხ. გოგუა და ნიკოლაიშვილი

არტილერისტები ხასანის ტბასთან ბრძოლაში

ხასანის ბრძოლებში არტილერისტებმა გვიჩვენეს ინიციატივისა და რთული თანამედროვე ბრძოლის ყველა ეტაპზე საარტილერიო ცეცხლის მარჯვედ წარმართვის ნიმუშები, გმირული მამაცობა სამშობლოსათვის ბრძოლაში.

დივიზიონის მეთაურმა ამხ. სემინმა გენერალური იერიშის გადამწყვეტ წუთებში ისე მოაწყო გადასვლა, რომ ვერც ძნელად გასავლელმა ხრამებმა, ვერც ჭაობიანმა ადგილებმა ხელი ვერ შეუშალა დივიზიონს დროზე მისულიყო მოწინავე პოზიციებზე და პირდაპირი სროლით მოეგერიებინა იაპონიის ქვეითი ჯარის იერიშები. ბრძოლაში ამხ. სემინი მამაცობისა და გმირობის მაგალითს იძლეოდა. მტრის ყუმბარების ცეცხლში იგი გამოაგორებდა ხოლმე ქვემეხებს ღია პოზიციაზე და თვითონ მარჯვე სროლით ანადგურებდა მოწინააღმდეგის რიგებს. ორდენოსნის ამხ. სემინის ბატარიებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ კავშირი ქვეით ჯართან და დახმარებას უწევდნენ მას მტერზე საბოლოო გამარჯვების მოპოვებაში. მის მაგალითს ჰბაძავდნენ ლეიტენანტები — ორდენოსნები ამხ. ლაზარევი, ნაგორნი, ლებედევი, წითელარმიელები ამხ. კალისოვი, ნუჟნი და სამშობლოს ასობით სხვა პატრიოტი.

გამოირკვა, რომ ასეულს, რომელსაც ამხ. ლაზარევი დახმარებას უწევდა საარტილერიო ცეცხლით, ერთხელ გარშემორტყმის საშიშროება მოელოდა. არტილერისტების დიდმა ოსტატობამ, რომელთაც ამხ. ლაზარევი ხელმძღვანელობდა, გეგმები ჩაუფუშა მოწინააღმდეგეს. სნაიპერთა ქვემეხებმა იაპონელთათვის მოულოდნელად გრიგალისებური მარჯვე სროლა აუტეხეს მათ და არ მისცეს საშუალება საბრძოლო წესით დაწყობილიყვნენ. იაპონელთა ერთ-ერთი დიდი ნაწილი განადგურებულ იქნა.

№ დივიზიონის მეთაურმა, სწორად მოაწყო რა დაკვირვება ბრძოლის ველზე, პირველმა აღმოაჩინა ჯარისკაცთა ეშელონი საჭურველითურთ. იაპონელებმა აჩქარებით იწყეს გადმოტვირთვა. მაგრამ ბატარიები უკვე მზად იყო სროლისათვის. როგორც კი იაპონელები მიუახლოვდნენ წინასწარ არჩეულ პუნქტს, მათ თავს დაატყდათ მთელი დივიზიონის მძლავრი ცენტრალიზებული ცეცხლი. დიდი ზარალი ნახეს სამურაებმა სნაიპერთა დივიზიონისაგან.

ორდენოსანმა ამხ. ლოვეცკიმ, რომელიც მოწინააღმდეგეს თვალყურს ადევნებდა ჩვენი ტანკების შეტევის დროს, შენიშნა, რომ იაპონელთა ორი ქვემეხი ემზადებოდა მათთვის სროლის ასატეხად. რათა თავიდან აეცილებინა მოწინააღმდეგის არტილერიის ცეცხლი, ამხ. ლოვეცკიმ უბრძანა გამოეგორებინათ ქვემეხი ღია პოზიციაზე და სროლა აუტეხა იაპონელებს. გაიმართა საარტილერიო დუელი, რომელმაც საშუალება მისცა ჩვენს ტანკებს გაენადგურებინათ მოწინააღმდეგის ქვემეხები.

ჩვენი არმიის არტილერისტები მოხერხებულად იყენებენ ახლა თავის ყოველდღიურ წვრთნაში ხასანის ტბის ბრძოლების გამოცდილებას.

ხასანის ტბის ბრძოლების მონაწილე, უფროსი ლეიტენანტი
ს. მოტირევი
პირველი ცალკე წითელდროშოვანი არმია,
5 აგვისტო.
(საკდესი).

ხასანის ტბასთან იაპონელთა განადგურების წლისთავისათვის. სურათზე: ლეიტენანტი ამხ. პლოტნიკოვი უთვალთვალებს იაპონიის ჯარების თავმოყრას ზაოზერნაიას რაიონში. საკდესის ფოტოქრონიკა.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის ცენტრალურ მუზეუმში

ხასანის ამბების განყოფილება ყველაზე ახალია მუშურ-გლეხური წითელი არმიის ცენტრალურ მუზეუმში. არსებითად ეს ჯერჯერობით განყოფილება კი არ არის, არამედ კუთხეა. მაგრამ მისი ექსპონატები—ხასანის ბრძოლების ეს უტყუარი მოწმენი — იპყრობენ მუზეუმის მრავალრიცხოვან მნახველთა უდიდეს ყურადღებას. ისინი კვლავ აღადგენენ ხსოვნაში წითელი არმიის გმირულ საქმეებს ხასანის ტბასთან.

მნახველები ათვალიერებენ ხასანის გმირების—პრიმორიეს 1-ლი არმიის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სურათებს. აი მკაცრი და მამაცი სახე კორპუსის მეთაურის შტერნისა, რომელიც ხელმძღვანელობდა მოგერიებითს ბრძოლებს. აი სურათი დაუვიწყარი ბოლშევიკი-კომისრის ი. ა. პოჟარსკისა. მას მტრის ცეცხლქვეშ მიჰყავდა მებრძოლები სიმაღლეზე ზაოზერნაიას საიერიშოდ. მისი მაგალითით აღფრთოვანებულმა მებრძოლებმა განდევნეს სამურაები სანგრებიდან და ტრანშეებიდან და გაჰყარეს საბჭოთა სოპკიდან. მაგრამ მტრის ტყვიამ განგმირა უშიშარი კომისარი. ი. ა. პოჟარსკის სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება.

მეტყვიამფრქვევე გოლიანოვი... იგი მშვიდად მოუშვებდა ხოლმე გათავხედებულ სამურაებს ახლო მანძილზე და ტყვიამფრქვევის ქარიშხლისებური ცეცხლით ანადგურებდა მტრის რიგებს.

მათ გვერდით იმ ადამიანთა სურათებია, რომლებიც ხასანის ამბების შემდეგ ცნობილი გახდნენ მთელ ჩვენს ქვეყანაში. ესენი არიან საბჭოთა კავშირის გმირები ი. დ. ჩერნოპიატკო, პ. ფ. ტერეშკინი, ი. ნ. მოშლიაკი, ამ გამანადგურებელი თავდასხმების მონაწილე, რომლებსაც აწყობდა საბჭოთა ავიაცია, ესკადრილიის კომისარი ზლოი, მფრინავები, ტანკისტები, არტილერისტები, ქვეითი ჯარის მებრძოლნი.

მინის ქვეშ ინახება ორი პარტიული ბილეთი. ფრთხილად ინახავდნენ მათ მკერდზე კომუნისტები ზ. ე. შეინკმანი და დ. პ. კრიპაკი, როდესაც მიდიოდნენ სამშობლოსათვის საბრძოლველად. ისინი მამაცურად დაიღუპნენ. მტრის ტყვიებმა, რომლებმაც განგმირეს გმირები, გახვრიტეს მათი პარტიული ბილეთები.

ბრძოლების დროს ნაწილების პარტიული ორგანიზაციები არ შემცირებულან. პირიქით, ისინი შეივსნენ. ასობით არაპარტიულ ბოლშევიკებს ბრძოლაში წასვლის წინ ან მორიგი იერიშის დაწყებამდე შეჰქონდათ განცხადებები, თხოულობდნენ ბოლშევიკური პარტიის რიგებში მიღებას. „მსურს კომუნისტად წავიდე ბრძოლაში. თუ მოვკვდები სამშობლოსათვის, მსურს მოვკვდე ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წევრად",—სწერდნენ თავიანთ განცხადებებში მებრძოლები და მეთაურები.

ფოტოსურათზე გადაღებულია ბუჩქნარი... შენიღბული დგას ოდნავ შესამჩნევი, ბრძოლისათვის გამზადებული ტანკი. მუხლუხებზე დაბჯენილი ტანკის მეთაური ამხ. კონოვი სწერს განცხადებას საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების შესახებ.

განსაკუთრებით საინტერესოა საესკიზო ნახატი, რომელიც გამოხატავს სახელოვანი წითელი არმიის ნაწილების მიერ სიმაღლე ზაოზერნაიას გმირულ იერიშს. ნახატი შესრულებულია ხასანის ბრძოლების მონაწილის ლეიტენანტ ვ. ს. პოლიაკოვის მიერ. საინტერესოა და ღრმა გრძნობების აღმძვრელია მოწაფეების ოლეგ სოკოლოვის (ანაპა), ვიტია ზაიცევის (რიბინსკი), მიშა სტრელკოვის (კალინინის ოლქი, ბურცევო) და სხვ. ნახატები, რომლებიც გამოხატავენ ხასანის ტბასთან მომხდარი ბრძოლების სხვადასხვა ეპიზოდებს. ამ ნახატებში გამოსჭვივის საბჭოთა ბავშვების ღრმა რწმენა წითელი არმიის ძლიერებისა და უძლეველობისადმი, გამოსჭვივის სიძულვილი დამპყრობელ სამურაებისადმი.

სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი ძალა აღაფრთოვანებდა ხასანის გმირებს იაპონელ სამურაებთან საბრძოლველად. მოწოდებაში, რომელიც გადამწყვეტი ბრძოლების წინ გაუგზავნეს თავის ამხანაგებს მე-32 დივიზიის მებრძოლებმა და მეთაურებმა, ნათქვამია:

„ამოცანის უკეთ შესრულებისათვის ვიწვევთ მე-40 მსროლელ დივიზიას სოცშეჯიბრებაში პირველობის მოსაპოვებლად სამურაის ჩექმით გაჭუჭყიანებულ საბჭოთა სოპკაზე საბჭოთა დროშის აღმართვაში".

გამოწვევა მიღებულ იქნა.. შეჯიბრებაში პირველობისათვის ბრძოლა აორკეცებდა ძალებს თავხედ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. „სტალინის სახელით გულში მივდიოდით საბრძოლველად და ვიმარჯვებდით",—ამბობენ თავიანთ გაზეთში „ნა ზაშჩიტუ როდინი" გმირი პატრიოტები.

1938 წლის 7 აგვისტოს დილით სოპკა ზაოზერნაია გაწმენდილ იქნა მტრებისაგან. მის მწვერვალზე აღმართეს წითელი დროშა, ხოლო 11 აგვისტოს საბჭოთა ტერიტორიიდან განდევნეს უკანასკნელი სამურაი.

„საიმპერატორო არმიის მამაცი ჯარისკაცები" ძალიან სწრაფად გაიქცნენ. გარბოდნენ, როგორც იტყვიან ხოლმე, უკან მოუხედავად. მათ მრავალი ტროფეი დასტოვეს. ამ ტროფეების მცირე ნაწილი პრიმორიეს 1-ლი არმიის შტაბმა საჩუქრად გამოუგზავნა მუზეუმს.

აქვე ჰკიდია იაპონელთა სამხედრო ნაწილის იეროგლიფებით დასერილი დროშა. ამ დროშას მრავალი ნახვრეტი აქვს, რაც თვალსაჩინოდ მოწმობს წითელი არმიის მებრძოლთა სიმარჯვეს სროლაში.

ტყვიამფრქვევები, შაშხანები, ოფიცრის ხმალი, იაპონელი ჯარისკაცის მუზარადი. მინის ქვეშ აწყვია სხვა ტროფეებიც, — ცხარე ბრძოლების მოწმენი: იაპონური აირწინაღი ჩანთით, მსუბუქი ყუმბარმტყორცნი, ავტომატური დამბაჩა, „ნამბუ", სავაზნე ჩანთები, „არისაკას" შაშხანის ხიშტი..

მაგრამ მნახველები დიდხანს არ ჩერდებიან სამურაების სამხედრო ნაწილების ამ „ნეშტებთან". ისინი კვლავ მიაპყრობენ თვალს ხალხისა და ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილების — ხასანის გმირების სურათებს.

ნ. სერგეევი.

ხიშტით და ხელყუმბარებით

ჩვენ იერიში მივიტანეთ იაპონელთა პოზიციებზე ზაოზერნაიას მაღლობის სამხრეთ კალთებზე. სამურაები ჩასაფრებული იყვნენ სანგრებში და სანგრებს შორის გაყვანილ გვირაბებში. თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლისათვის ისინი მიუწვდომელი იყვნენ, მაგრამ ჩვენს განკარგულებაში იყო „ჯიბის არტილერია". იაპონიის სანგრებს თავს დაატყდა ჩვენი ხელყუმბარები. მათი აფეთქების გრიალში ჩვენამდე მოაღწია მტრების პანიკურმა ყვირილმა.

ჩვენ გავეშურეთ სანგრებისაკენ, რათა ხელჩართული ბრძოლით დაგვემთავრებინა სამურაების განადგურება. გადარჩენილი იაპონელები ამორბოდნენ სანგრებიდან და გააფთრებით იცავდნენ თავს. მე დავინახე როგორ უსწორდებოდა მათ ჩვენი წითელარმიელი ამხ. სოშკინი — იგი გარშემორტყმული იყო სამურაების ჯგუფით. ამხ. სოშკინი, რომელიც მოხერხებულად მოქმედებდა ხიშტით, იგერიებდა მტრების დარტყმას და მარჯვნით და მარცხნით ჰხოცავდა მათ.

ხელყუმბარებით და ხიშტით ჩვენ განვდევნეთ იაპონელები სანგრებიდან და დავხოცეთ ისინი. გავამაგრეთ რა ახალი ხაზი, ჩვენ მოვემზადეთ მაღლობზე გადამწყვეტი იერიშის მისატანად და ეს მაღლობი იმავე დღეს ავიღეთ. თავდამსხმელები განდევნილ იქნენ საბჭოთა მიწა-წყლიდან.

ორდენოსანი კაპიტანი
ა. ლასკინი
პირველი ცალკე წითელდროშოვანი არმია, 5 აგვისტო.
(საკდესი).

კაპიტანი ი. მოშლიაკი

საბჭოთა კავშირის გმირი

ხასანის ბრძოლების წლისთავი

1938 წლის ივლისის დამლევსა და აგვისტოს დასაწყისში წყნარი ოკეანეს საბჭოთა სანაპიროზე მოხდა ბრძოლა, რომელიც ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა იყო სამოქალაქო ომის დროიდან. იაპონელებმა სცადეს მოესინჯათ წითელი არმიის ძალები ხასანის ტბის რაიონში. შემოსევის ოპერაცია დაევალა იაპონიის ჯარის ყველაზე შერჩეულ ნაწილებს, რომლებიც სპეციალურად იყვნენ გადაყვანილი საზღვართან. რამდენიმე დღის შემდეგ იაპონიის სარდლობა აგროვებდა თავისი რჩეული პოლკების გადარჩენილ ნარჩენებს, ხოლო იაპონელი დიპლომატები სასწრაფოდ ეძებდნენ უკანდასახევ გზებს.

იაპონელები ყველანაირად ცდილობდნენ მიეჩქმალათ, მიეფუჩეჩებინათ თავიანთი ავანტიურის სამარცხვინო ჩაშლა. ამ მიზნისათვის მათ მეტეოროლოგიაც კი გამოიყენეს: იაპონიის ნაწილებმა ზაოზერნაია დასტოვეს დიდი წვიმების გამო, და არა სხვა რაიმე მიზეზით. მაგრამ მოჭორილმა ამბებმა ვერ დაჰფარეს ჭეშმარიტება. მსოფლიომ გაიგო და შეაფასა ძლიერება წითელი არმიისა, რომელმაც ხასანთან ბრძოლებში განუფანტა შარავანდედი სამურაების ამპარტავნულ ლეგენდას იაპონიის არმიის უძლეველობის შესახებ.

თუ როგორ მოხდა ეს, ყველაზე უკეთ ვიცით ჩვენ, ხასანის ბრძოლების მონაწილეებმა.

პოსიეტის რაიონი, რომელიც იაპონელებმა აირჩიეს დასარტყმელად, წარმოადგენს ვაკე ზოლს, რომელიც მიიმართება ჩვენი საოკეანო სანაპიროს გასწვრივ თითქმის თვით ვლადივოსტოკამდე. ერთი მხრით ოკეანე, წვრილი ყურეებით დასერილი ნაპირები, მეორე მხრით—კორეისა და მანჯურიის საზღვარი, რომელიც მისდევს სოპკების მწვერვალებს. სიმაღლეების ზაოზერნაიას და ბეზიმიანაიას დაპყრობა იაპონელებს განსაკუთრებით ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა. სამხედრო ენით რომ ვთქვათ, ეს სიმაღლეები ბრძანებლობენ მთელ ამ არემარეს. იაპონელებს შეეძლოთ დიდ მანძილზე ცეცხლის ქვეშ ჰქონოდათ დაბლა და აქეთ-იქით გადაჭიმული ვაკე, აგრეთვე ბუხტი პოსიეტი და სანაპირო ვლადივოსტოკის მიმართულებით. ამ სივრცეზე ჩვენი ჯარების მოძრაობა მეტად საშიში იყო. შემდეგ ხასანის ტბა ზაოზერნაიას ძირში და ტბის ჩრდილოეთის მხრიდან ჭაობი წარმოადგენდა ბუნებრივ დაბრკოლებას, რომელიც მეტად ართულებდა ჩვენი ქვეითი ჯარის მოქმედებას და იცავდა იაპონელებს ჩვენი ტანკების იერიშისაგან. მხოლოდ სამხრეთით ტბასა და სანაპირო მდინარის ტუმენ-ულას შუა რჩებოდა მიწის ვიწრო ზოლი. აქ შეეძლოთ გასვლა ტანკებსა და ქვეითი ჯარს. მაგრამ თავიანთ პოზიციებთან ამ ერთადერთი მისასვლელისაკენ იაპონელებმა მიმართეს უამრავი ტყვიამფრქვევისა და ქვემეხის ცეცხლი. ისინი ვარაუდობდნენ დაეშინათ ჩვენი ტანკებისა და ქვეითი ჯარისათვის მაშინვე, როგორც კი ჩვენ ვისარგებლებდით ამ გზით.

იაპონელები წინასწარ ზეიმობდნენ გამარჯვებას. პოზიციები, რომლებიც მათ დაიპყრეს ჩვენი მესაზღვრეების მცირერიცხოვან ჯგუფებზე მოულოდნელი თავდასხმით, იდეალური იყვნენ თავდაცვისათვის. წიგნში, რომელიც ამასწინათ იაპონიაში გამოვიდა, მოყვანილია პოზიციების შეფასება ერთერთი ოფიცრის—სატოს მიერ. როდესაც იაპონელი ჯარისკაცები მოეწყვნენ ზაოზერნაიაზე თავდაცვისათვის, სატომ უთხრა მათ:

— ეს რაიონი ადვილი დასაცავია, მაგრამ ძნელი დასაპყრობი.

იაპონელთა ზეიმი ნაადრევი იყო. ხასანთან ბრძოლებში წითელი არმიის მებრძოლებმა ჩაუფუშეს მოწინააღმდეგეს ვარაუდი. იმავე წიგნში, რომელიც იაპონიაში გამოვიდა და რომელიც წარმოადგენს ბრძოლებში მონაწილეთა დამუშავებულ ნაამბობს, იაპონელი ჯარისკაცები ტყუილად როდი სახავენ წითელარმიელებს ბუმბერაზებად.

სამოქალაქო ომის დროიდან პირველ მნიშვნელოვან შეტაკებაში წითელ არმიასთან სამურაებმა საკუთარ ტყავზე გამოსცადეს წითელარმიელის უდიდესი ძალა, მისი მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებები, გამანადგურებელი დარტყმა მისი საბრძოლო იარაღისა.

მსოფლიო პრესას არაერთხელ დაუწერია საბჭოთა კავშირის გმირებზე. მაგრამ მთელი ჩვენი არმია რომ გმირთა არმიაა, ამის დამაჯერებელი დადასტურება მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა მიიღო ხასანის ბრძოლების დღეებში. მრავალრიცხოვანმა საბრძოლო ეპიზოდებმა მკაფიოდ ცხადჰყვეს, რომ ათასობით ჩვენს მებრძოლებს შესწევთ უნარი მოახდინონ დიადი საგმირო საქმეები, რომ მთელი საბჭოთა ხალხი გმირია.

მე დამამახსოვრდა 11 მესაზღვრე, რომლებიც იბრძოდნენ სიმაღლე ბეზიმიანაიასთან. მსროლელთა ათასეულით მე გამგზავნეს ბეზიმიანაიასთან სანაპირო საგუშაგოს გასამაგრებლად.

ერთხელ სანაპირო საგუშაგოდან ჩვენთან მოირბინა მეკავშირემ. საბრძოლო განგაშით ჩვენ გვიწვევდნენ საზღვარზე. წინათ არასოდეს არ წავსულვართ ასე სწრაფად. ჩვენ ვიცოდით, რომ სადღაც სოპკა ბეზიმიანაიაზე იბრძვიან მესაზღვრეები. ჩვენ მივეშურებოდით მათ დასახსნელად. ისინი თერთმეტნი იყვნენ, მტერი მათ რიცხობრივად ათჯერ სჭარბობდა. იმან, რაც ჩვენ დავინახეთ, როდესაც ბრძოლის ადგილს მივაღწიეთ, წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა.

თერთმეტი გმირი, რომელთაც უმრავლესობა მძიმედ იყო დაჭრილი, უთანასწორო ბრძოლას აწარმოებდა. მათ უკან დახევა არც კი უფიქრიათ და მედგრად იგერიებდნენ შემოსეულ მრავალრიცხოვან მტერს.

ჩვენი მებრძოლები წინათ არ ყოფილან ბრძოლებში. მეც არა მქონია შემთხვევა ვყოფილიყავი ბრძოლაში. მაგრამ როდესაც გადავავლეთ თვალი ბრძოლის ველს, თვითეულმა ჩვენგანმა შეაფასა მესაზღვრეთა გმირობა და თვითეულმა ფიცი დასდო ებრძოლა მათსავით.

ჩვენი ათასეულის მებრძოლებმა ხელით გაიტანეს ბრძოლის ველიდან დაჭრილი მესაზღვრეები და მიიღეს მონაწილეობა იაპონელებთან ბრძოლებში.

ეს ბრძოლაც უთანასწორო იყო. იაპონელებმა სიმაღლე ბეზიმიანაიასაკენ დასძრეს ახალი ძალები. მათ დაგვიშინეს მრავალი ტყვიამფრქვევისა და არტილერიის ცეცხლი. მაგრამ ჩვენს რიგებში სულმოკლე არავინ აღმოჩენილა. დაძაბული ბრძოლის საათებში თვითეულმა ჩვენგანმა დააფასა ის დიდი მუშაობა, რომელსაც საზღვრიდან შორს ატარებდა ჩვენი ნაწილი. ყველამ გაიგო, თუ რა უდიდეს როლს ასრულებს ბრძოლაში სიმარჯვე, სიმშვიდე და სიდინჯე. ჩვენში აღმოჩნდა მრავალი საუკეთესო მსროლელი, სნაიპერი. ისინი მშვიდად ეძებდნენ მიზანს და მწყობრიდან გამოჰყავდათ სამურაი ოფიცრები და მეტყვიამფრქვევეები.

ახლა, როდესაც ვცდილობ აღვადგინო ხსოვნაში იმ დღეების ამბები, ჩემს თვალწინ დგებიან შესანიშნავი მებრძოლი ამხანაგები, საბჭოთა ხალხის ღირსეული შვილები. ბევრი დაჭრილი იყო, მაგრამ არავინ მისცა თავის თავს უფლება დაეტოვებინა ბრძოლის ველი. მახსოვს მეტყვიამფრქვევე კოტელნიკოვი. იგი მძიმედ დაიჭრა ფეხში და ხელში.

— კოტელნიკოვ, წადი, ძმაო, სამედიცინო პუნქტზე,— უთხრა მას მეთაურმა.

— არა, ამხანაგო როზოდეევ, მე ჯერ კიდევ შემიძლიან ბრძოლა!— უპასუხა მებრძოლმა.

ჩვენი სახელოვანი მეტყვიამფრქვევე, რომელსაც არ შეეძლო ფეხზე წამომდგარიყო, მიცოცავდა სოპკის ქვიან თხემზე და განსაკუთრებით ზუსტი ცეცხლით ცოტა ზიანს როდი აყენებდა იაპონელებს.

კარგად მახსოვს მეორე გმირიც—შუსტროვი. ის ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. შუსტროვი მიუძღვოდა შეტევაზე გადასულ ასეულს. ბრძოლაში იგი არ ჰკარგავდა სიდინჯეს, მისი სიმშვიდე, სიმტკიცე ამხნევებდა მებრძოლებს. ბრძოლის უდიდესი დაძაბულობის წუთებში იგი თვითონ ესროდა ტყვიამფრქვევს და [illegible] იაპონელთა ხშირ რიგებს. მტრის ტყვიამ განგმირა შუსტროვის პატიოსანი ბოლშევიკური გული.

ფრონტზე იყვნენ ათასობით გმირები — მებრძოლნი, მეთაურნი, პოლიტმუშაკები. მტერმა ხელი შეახო საბჭოთა ადამიანების გულის ყველაზე ძვირფას და ნაზ სიმებს. მან გაბედა ხელი შეეხო ჩვენი სამშობლოს საზღვრებისათვის. და მან საკადრისი პასუხი მიიღო.

კომუნისტები და უპარტიოები მხარდამხარ იბრძოდნენ. ათასობით მებრძოლებს, ერთი ნებისყოფით გაერთიანებულებს, ჰქონდათ ერთი მისწრაფება—ჭკუა ესწავლებინათ გათავხედებულ სამურაებისათვის. მზარეულები, მეკავშირეები, შტაბების მუშაკები სთხოვდნენ მეთაურებს ნება დაერთოთ მათთვის მონაწილეობა მიეღოთ ბრძოლაში. ისინი იღებდნენ მოკლული და დაჭრილი ამხანაგების შაშხანებს და მიდიოდნენ მოწინავე პოზიციებზე.

ხასანთან მოგერიებითი ბრძოლების სული და გული იყვნენ კომუნისტები და კომკავშირელები. ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ, მიჰყავდათ მებრძოლნი წინ და უჩვენებდნენ მათ შეტევაში და თავდაცვაში სიმტკიცისა და უშიშრობის ნიმუშებს. სიმაღლე ზაოზერნაიას საიერიშოდ ჩვენ მივდიოდით ერთიანი ბოლშევიკური კოლექტივით. მტრისადმი სიძულვილი დუღდა ჩვენს გულში.

ჩვენც გვქონდა დანაკარგები. დაზარალდნენ ჩვენი საპოლკო პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებიც. მაგრამ მათი რიგები არ შეთხელებულა. მე მახსოვს ჩემი პოლკის უპარტიო ამხანაგები— მებრძოლები და მეთაურები. ისინი სარგებლობდნენ წუთიერი შესვენებებით, როდესაც მტრის ცეცხლი სუსტდებოდა, მოცოცდებოდნენ ჩემთან, რომ გადმოეცათ ბრძოლაში საჩქაროდ დაწერილი ზეპირი თხოვნები, განცხადებები პარტიისა და კომკავშირის რიგებში მიღების შესახებ. მე ვაწყობდი განცხადებებს ჩემს საველე ჩანთაში. სამწუხაროდ, მაშინ ეს ჩანთა სადღაც დარჩა საველე ჰოსპიტალში და მე არ შემიძლიან მოვიყვანო აქ მრავალი შესანიშნავი დოკუმენტი, რომელიც მივიღე იმ დღეებში.

ისინი დაწერილი იყო ლაკონიური სამხედრო ენით.

„თუ ბრძოლაში მომკლავენ, გთხოვთ ჩამთვალოთ კომუნისტად", —სწერდა ერთი მებრძოლი.

„ვიბრძოლებ ჩვენი სამშობლოს მტრებთან, როგორც შეჰფერის ბოლშევიკს, გთხოვთ მიმიღოთ პარტიაში",—სწერდა მეორე ამხანაგი.

მე ვუპასუხებდი ამხანაგებს:

— გთვლით საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილებად, ბოლშევიკური პარტიის ღირსად...

ბევრი განცხადება შედიოდა ნაწილის კომკავშირულ ბიუროში.

მძაფრი ბრძოლების შემდეგ ჩვენ დავითვალეთ კომუნისტები და კომკავშირელები. პარტიისა და კომკავშირის ძალები გაიზარდნენ. მოვიდა კარგი შევსება, უსაზღვრო გამბედაობის ადამიანები, რომლებიც მზად არიან სიცოცხლე შესწირონ ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხასანის ტბასთან ბრძოლებში განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი მუშურ-გლეხური წითელი არმიისათვის დამახასიათებელმა თვისებებმა: მისმა დაუშრეტელმა შეტევითმა გაქანებამ, მისწრაფებამ რადაც არ უნდა დაჯდეს მოსპოს მტერი ცეცხლით ან ხელჩართულ ბრძოლაში, მებრძოლების, მეთაურების, პოლიტმუშაკების განსაკუთრებულმა სიმამაცემ.

იმ დღეებში ბრძოლებში მტრებმა დაინახეს ახალი ტიპის არმია, რომელთანაც ექნებათ საქმე ფაშისტ-აგრესორებს, თუ ისინი გაბედავენ საბჭოთა მიწა-წყალზე თავდასხმას.

მას შემდეგ გავიდა წელიწადი. წელიწადი ჩვენი არმიის ცხოვრებაში პატარა ვადა როდია. გაიზარდა ჩვენი ქვეითი ნაწილების საბრძოლო ხელოვნება, კიდევ უფრო სწრაფი გახდა ჩვენი ტანკისტების სასწავლო იერიშები. არტილერისტები ზედმიწევნით დაეუფლნენ თავის სპეციალობას და მათი ცეცხლი უფრო ძლიერი და ზუსტი გახდა. დიდ წარმატებებს მიაღწიეს სამხედრო-საჰაერო ესკადრილიებმა და წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო გემებმა.

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ამ მზარდ ძლიერებას გრძნობენ ჩვენი მტრები. ისინი გრძნობენ და ესმით, რომ მთელ მსოფლიოში არის მხოლოდ ერთადერთი არმია—სოციალისტური სახელმწიფოს არმია, რომელიც დაამსხვრევს მტრების მუხანათურ ზრახვებს, თუ ისინი დაიძრებიან ჩვენი საზღვრებისაკენ სამურაების ბილიკით. ამ ბილიკზე უკვე არაერთხელ დამარცხდნენ პოსიეტის რაიონის სოპკებშიც, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ველებზეც იაპონიის რჩეული პოლკები.

საჭირო არ არის წინასწარმეტყველი იყო, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფაშისტებს უწინასწარმეტყველო მათი აგრესიული ავანტიურების ბოლო. ამ დრომდე უგულებელვყოფდით რა უხერხულობას ბრძოლის ტაქტიკის თვალსაზრისით, ჩვენ ვიბრძოდით ჩვენს მიწა-წყალზე და არ ვეგებოდით ომის პროვოკატორთა ანკესზე, არ ვიჭრებოდით სხვის მიწა-წყალზე. მაგრამ საბჭოთა ხალხს აქვს მოთმინების საზღვარი. და ხასანთან ბრძოლები იაპონელებს „კვირტებად" მოეჩვენებათ, როდესაც ისინი თავიანთი თავხედი პროვოკაციებით აიძულებენ ჩვენს არმიას იბრძოლოს ჩვენი მოწინააღმდეგეების ტერიტორიაზე. მაშინ იაპონელები გაიგებენ, რას ნიშნავს ის „ნაყოფი", რომელზედაც ლაპარაკობდა ჩვენი სახკომი ამხანაგი ვოროშილოვი. და მაშინ სამურაებს მათი „დალოცვილი" ცა მტკაველის ოდენა მოეჩვენებათ. ხოლო მიწაზე საბჭოთა ქვეითი ჯარი, ტანკები და არტილერია გასაქანს არსად არ მისცემენ გათავხედებულ მეომრებს.

„თავისუფალ ქალაქში“

თავისუფალი ქალაქი დანციგი—ასე უწოდებენ არა მარტო თვით ქალაქ დანციგს, არამედ მთელ იმ ტერიტორიასაც, რომელიც მდებარეობს ბალტიის ზღვის დანციგის უბის ნაპირას, მდინარე ვისლის დელტაში, პოლონეთის კორიდორსა და აღმოსავლეთ პრუსიის ჩრდილოეთ-დასავლეთ პუნქტს შორის. თავისუფალ ქალაქს უკავია 1966 კვადრატული კილომეტრი ფართობი, მისი მოსახლეობა დაახლოებით 400 ათას კაცს აღწევს. თვით დანციგში 250 ათასამდე კაცი ცხოვრობს.

გერმანელებს გარდა, აქ ცხოვრობენ პოლონელები, უკრაინელები, ებრაელები. ებრაელები ამჟამად თითქმის სრულიად გამოდევნილი არიან ქალაქიდან.

...„თავისუფალ ქალაქს“ თავს დასტრიალებს მუქარა გერმანიის მხრივ. დანციგი გარშემოვლებულია სანგრებით, ბლოკჰაუზებითა და ტრანშეებით. ვისლის ორივე ნაპირას მდებარე მრავალრიცხოვან ნავმისადგომებში სცლიან სამხედრო საჭურვლით დატვირთულ ტრანსპორტებს. სწარმოებს დანციგის გამალებული მილიტარიზაცია გერმანიის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით.

ქალაქის ქუჩებში მიმოდიან მოიერიშეთა ფორმით გამოწყობილი „კონდორის“ ლეგიონის ჯარისკაცები, რომლებიც ამას წინათ ჩაიყვანეს ამ ქალაქში. ქუჩაში შეხვედრისას ისინი დემონსტრატულად ესალმებიან ერთმანეთს ფაშისტურად.

დანციგში ისინი ჩადიან „ტურისტების“ სახით. დანციგში ჩასვლის შემდეგ „ტურისტებს“ მაშინვე აბინავებენ ყაზარმებში და აიარაღებენ.

თვით ქალაქის ფარგლებში არის ორი მთა. ერთი მათგანი—ბიშოფსბერგი—მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მეორე—ჰაგელსბერგი — ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში. ორივე ეს მთა ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ დანციგის მცხოვრებთა საყვარელი სასეირნო ადგილი იყო. ამჟამად ამ მთებზე ხალხს აღარ უშვებენ და მათ გარშემოვლებული აქვთ ეკლიანი მავთული.

ბიშოფსბერგის მწვერვალზე დადგმულია მძიმე ქვემეხები.

მარიენზეეში დაბინავებულია ცხენოსანთა ნაწილები. დანციგისაკენ მიმავალი გზის ცოტა მოშორებით, დაბა ენკაუში მოთავსებულია ფაშისტური სამხედრო სკოლა.

გერმანიის საზღვრისაკენ მიმავალ მთავარ გზაზე სწარმოებს ხიდების რეკონსტრუქცია. როტებუდესთან დაწყებულია ხიდის მშენებლობა ვისლაზე. განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს გზების მშენებლობა აღმოსავლეთ პრუსიაში.

აღმოსავლეთ პრუსიისაკენ მიმავალ გზებზე განუწყვეტლივ დაჰქრიან ავტომანქანები. დიდ სამგზავრო ავტობუსებს გერმანელი „ტურისტები“ ჩაჰყავთ ცოპოტში, მის ნავმისადგომელს ხშირად ესტუმრებიან ხოლმე გერმანიის სამგზავრო გემები „ტურისტებითურთ“. ცოპოტის პლაჟის თავზე „თავისუფალი ქალაქის“ ბაირაღის გვერდით ფაშისტური ბაირაღი ფრიალებს.

დანციგის პრესა კრინტსაც არა სძრავს ფაშისტთა სამხედრო მზადების შესახებ. სამაგიეროდ იგი ეწევა აგიტაციას იმისათვის, რომ „თავისუფალი ქალაქი“ გერმანიას შეუერთდეს. გაზეთი „დანციგერ ფორპოსტენი“ ყოველდღე შემდეგი დევიზით გამოდის — „უკან იმპერიისაკენ, ხელშეკრულებითი ძალადობის წინააღმდეგ“.

საგაზეთო კიოსკებში იყიდება ბერლინის გაზეთები. კინოებში უჩვენებენ მხოლოდდამხოლოდ გერმანულ ფილმებს.

დანციგის მცხოვრებნი შეშფოთებით ადევნებენ თვალყურს მათი ქალაქის გამალებულ მილიტარიზაციას. თუ როგორია მოსახლეობის განწყობილება, ამაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ მარტო იმის მიხედვით, რომ უმრავლესობა უპასუხოდ სტოვებს ფაშისტურ მისალმებას, თუმცა ამისათვის მათ სასამართლო წესით სჯიან. ამას წინათ დანციგის სასამართლომ ხუთი თვის საპატიმრო მიუსაჯა რამდენიმე მოქალაქეს იმისათვის, რომ მათ არ უპასუხეს ფაშისტურ მისალმებას.

ქალაქში ვრცელდება ანტიფაშისტური ლოზუნგები და ფურცლები. ერთერთ ასეთ ფურცელში სხვათა შორის ნათქვამია: „ხალხს არ სურს დანციგის მილიტარიზაცია. ხალხს არ სურს, რომ დანციგი ხელში ჩაუვარდეს გერმანიას“. ფურცელი მოუწოდებს სახალხო ფრონტის ყველა მეგობარს განამტკიცონ ერთიანობა ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ საბრძოლველად. დანციგის მოსახლეობაში იზრდება გადაწყვეტილება წინააღმდეგობა გაუწიონ მესამე იმპერიის მტაცებლურ გეგმებს.

ფ. ოჟეხი

დანციგი, 1939 წ. ივლისი.

ჩინელი ხალხის ბრძოლის ეპიზოდები

ჩინეთის ავიაციის მოქმედება

ჩინეთის ერთერთი მფრინავი — იაპონელთა ავიაციასთან საჰაერო ბრძოლის მონაწილე — ჟურნალ „ნა ეტ უოჩის“ ივლისის ნომერში მოგვითხრობს, რომ ჩინეთის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა იაპონელთა სამხედრო ობიექტებს.

ერთხელ, სწერს მფრინავი, მიღებულ იქნა ბრძანება ყუმბარებით გაგვენადგურებინა იაპონელთა აეროდრომი კანტონის მახლობლად და იმავე დროს რამდენიმე სხვა საბრძოლო ამოცანა შეგვესრულებინა. მდინარე სიძიანის ნაპირას არსებული ბაზიდან აფრინდა ახალ მსუბუქ ყუმბარმშენთა ესკადრილია. ესკადრილიამ მალე მიაღწია კანტონს, რომელიც თხელი ღრუბლებით იყო დაფარული. ესკადრილიამ გვერდი აუქცია კანტონს და იაპონელთა აეროდრომის მიმართულებით მოუხვია. იაპონელები არ მოელოდნენ თავდასხმას და მოუმზადებელი დახვდნენ. მათმა თვითმფრინავებმა ვერ მოასწრეს ჰაერში აფრენა. იაპონელებმა გააჩაღეს ძლიერი საარტილერიო სროლა საზენიტო ქვემეხებით. ამის მიუხედავად, ჩინელთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს და ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს იაპონელთა აეროდრომს. ჩაყარეს 50-ზე მეტი ყუმბარა, რამაც ცეცხლი გაუჩინა იაპონელთა თვითმფრინავებს და გაზოლინის საცავს.

ჩინეთის ავიაციის კაპიტანის — ესკადრილიის სარდლის ბრძანებით, თვითმფრინავებმა განაგრძეს გზა მარგალიტის მდინარისაკენ. ძირს კარგად მოსჩანდა იაპონელთა საკანონერო ნავები, ნაღმოსნები და სხვა სამხედრო გემები. ჩინელთა თვითმფრინავებმა დააზიანეს იაპონელთა ორი საკანონერო ნავი და გაანადგურეს რამდენიმე მცირე გემი.

როდესაც ესკადრილია უკან ბრუნდებოდა, მასზე იერიში მიიტანა იაპონელთა 15 ავიაგამანადგურებელმა. ჩინელთა თვითმფრინავები ჩაებნენ ბრძოლაში და ჩამოაგდეს მტრის ორი თვითმფრინავი.

ჩინელთა ესკადრილია დაახლოებით 5 საათს იყო ჰაერში. ყველა თვითმფრინავი მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზაში.

4 აგვისტო (საკდესი).

დაიღუპა გერმანიის სამგზავრო თვითმფრინავი

ბერლინი, 4 აგვისტო (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გერმანიასა და ტაის შორის (სიამი) სწარმოებს მოლაპარაკება რეგულარული საჰაერო ხაზის გახსნის შესახებ. დღეს მიღებულია ცნობა, რომ ამ საჰაერო ხაზზე კატასტროფა მოხდა. გუშინ დილით ბანგკოკიდან (ტაი) ბერლინს დაბრუნებული გერმანიის სამმოტორიანი სამგზავრო თვითმფრინავი „10—52“, რომელიც გერმანიის საზოგადოება „ლიუფტჰანზას“ ეკუთვნოდა, დაიმტვრა და დაიწვა, როდესაც იგი რანგუნის (ბირმა) აეროდრომზე უნდა დაშვებულიყო.

იაპონიის ავიაცია თავს დაესხა ჩუნცინს

ლონდონი, 4 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს დილით იაპონიის ავიაციამ ახალი ბარბაროსული თავდასხმა მოაწყო ჩუნცინზე. ოფიციალური ცნობებით, სწერს სააგენტო, თავდასხმაში მონაწილეობა მიიღო 18 თვითმფრინავმა, მაგრამ დამსწრენი აცხადებენ, 27 თვითმფრინავი იყოო. ჩინეთის საზენიტო არტილერიამ ორჯერ მოიგერია თავდამსხმელები. იაპონიის რამდენიმე თვითმფრინავმა მაინც მოახერხა შეჭრილიყო საკონსულოების რაიონში და 20 ყუმბარა ჩამოეგდო. ძლიერ დაინგრა ინგლისის საკონსულოს შენობა და დაზიანდა საფრანგეთის საკონსულოს შენობა. ყუმბარების ნატეხებმა დასჭრა 8 ჩინელი — საფრანგეთის საკონსულოს მოსამსახურე. საფრანგეთის საკონსულოს ექიმის სახლი, რომელიც ინგლისის საკონსულოს შენობის გვერდით მდებარეობს დაინგრა, მოკლულია ოთხი ჩინელი მოსამსახურე. რამდენიმე ყუმბარა მოხვდა აგრეთვე გერმანიის საკონსულოს შენობას; შენობა მეტად დაზიანდა. ყუმბარების აფეთქებისაგან ქალაქის ზემო ნაწილში რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა.

სამხედრო ხელისუფალთა ღონისძიებანი კლაიპედაში

პარიზი, 4 აგვისტო ((საკდესი). პარიზის მთელი რიგი გაზეთები აქვეყნებენ რადიოს სააგენტოს დეპეშას, რომელშიაც ნათქვამია, რომ კლაიპედის (მემელის) სამხედრო ხელისუფალთა უკანასკნელი ბრძანების თანახმად, ყველა გლეხი ვალდებულია წარადგინოს ცნობები თავიანთი პირუტყვისა და მოსავლის რაოდენობის შესახებ. ამიერიდან კლაიპედის გლეხები თავიანთი სურვილისამებრ ვეღარ მოიხმარებენ ვერც მოსავალს და ვერც თავიანთ პირუტყვს. ყველაფრის რეკვიზიცია ხდება არმიის საჭიროებისათვის. რათა დარწმუნებული იყვნენ, რომ გლეხები არ გალეწავენ და არ დაფქვავენ მათ კუთვნილ პურს, სამხედრო ხელისუფლებამ დაბეჭდა ბეღლები, კერძო წისქვილები და სალეწი მანქანები.

ამერიკის სამხედრო გემების ჩასვლა საფრანგეთში

პარიზი, 4 აგვისტო (საკდესი). გუშინ სენ-ნაზერში (საფრანგეთი) ჩავიდა ამერიკის კრეისერი „ტრენტონი“, რომლის წყალწყვა 7.000 ტონას უდრის, და ორი საესკადრო ნაღმოსანი — „ჯეკობ ჯონსი“ და „ბეჯერი“, 1.000 ტონა წყალწყვისა თვითეული. ამერიკის გემები საფრანგეთის წყლებში 18 აგვისტომდე დარჩებიან.

გაფიცულ მუშათა დარბევა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 4 აგვისტო (საკდესი). გრინ მაუნტენში (კოლორადოს შტატი) დიდი საირიგაციო კაშხალის მშენებლობაზე მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს და მოითხოვეს, რომ სცნონ პროფკავშირი. 200 შეიარაღებული შტრეიკბრეხერი თავს დაესხა რამდენიმე ასეულ გაფიცულ მუშას. მუშებს შორის არიან მოკლულნი და დაჭრილნი. გაფიცულთა დასახმარებლად რამდენიმე ასეული მუშა გამოვიდა მეზობელი საწარმოებიდან. მაგრამ შტრეიკბრეხერებმა იმისათვის, რომ არ დაეშვათ გაფიცული მუშებისათვის დახმარების აღმოჩენა, ააფეთქეს ხიდი, რომელიც გადებული იყო კაშხალის მშენებლობის ადგილისაკენ მიმავალ გზაზე.

შტრეიკბრეხერთა დასახმარებლად კოლორადოს შტატის გუბერნატორმა კარმა გაგზავნა ჯარი ტანკებითურთ.

სამხედრო ტროფეები, იაპონელებისათვის წართმეული ხასანთან ბრძოლებში.

დროშა კვლავ აფრიალდა*

◇

სიმონ წვერავა

◇

ტბიდან ამოსული ასეული, ნაპირ-ნაპირ რომ მიიპარებოდა, ისე შეუდგა არტილერიით გამაგრებულ მაღლობს, რომ მასზე მყოფმა იაპონელებმა დიდხანს ვერ გაუგეს. მეთვალთვალემ ბოლოს მაინც დალანდა ასეული. არტილერია ისევ აგრუხუნდა და ტყვიამფრქვევებიც აკაკანდნენ. არ იქნა და ვერ მოიმაგრეს ფეხები მებრძოლებმა ტყვიამფრქვევებით დაცხრილულ ფერდზე.

ამ გაგანია ცეცხლში ასეულის წინსვლას განსაკუთრებით მტრის ორი ტყვიამფრქვევი უშლიდა ხელს.

— ამხანაგო ვლადიმერ, გამოარჩიეთ ოცეულიდან ექვსი მებრძოლი და ჩააჩუმეთ მტრის ტყვიამფრქვევები, — უთხრა ასეულის უფროსმა პავლუშა ერშოვმა ოცეულის უფროსს გრებენშჩიკოვს.

ვლადიმერ გრებენშჩიკოვი სწრაფი მოსაზრების კაცი იყო, ტყვიამფრქვევთან პირდაპირი შეტაკებით ვერაფერს გახდება. ამიტომ მოხერხების გზას დაადგა. ოცეულიდან საუკეთესო მებრძოლები გამოჰყო, ორი ტყვიამფრქვევი და ხელყუმბარები წაიღო და ტბას მიაშურა. შევიდნენ თუ არა ტბაში, ხერხი იხმარეს: წყალში ისე ჩაიმალნენ, რომ ზევით მხოლოდ მებრძოლთა მოლისფერი ქუდები და მოსჩანდა. მეორე ნაპირზე გასვლისთანავე მაღლობს ზურგიდან შემოუარეს და მუხლებზე ხოხვით შეუდგნენ აღმართს.

მტერი ამ მხრიდან სავსებით არ მოელოდა საფრთხეს. ვლადიმერი კი სულ რაღაც ორიოდე საათის შემდეგ სწორედ იმ ფერდის ძირში მოექცა თავისი მებრძოლებით, რომელზედაც სამურაების არტილერია და ტყვიამფრქვევები იყო გამაგრებული. ახლოს რომ მიიპარნენ, ერთმა მებრძოლთაგანმა ვლადიმერს წასჩურჩულა:

— ამხანაგო უფროსო, ხელით დაჭერას ხომ არ ვაპირებთ, ვესროლოთ ყუმბარები...

ოცეულის უფროსი კი სულ წინ მიიწევდა, მიხოხავდა, გაანგარიშებული ჰქონდა, ერთი მძლავრი დარტყმით მოესპო მტერი.

როცა მტერს მიუახლოვდა პატარა რაზმი, ვლადიმერმა მებრძოლებს ანთებული თვალები მიაგება და დაბალი, მაგრამ მტკიცე ხმით მიმართა: ცეცხლი!

ეს ელვისებური თავდასხმა იაპონელებისათვის სავსებით მოულოდნელი აღმოჩნდა. ყუმბარა-ყუმბარაზე ეცემა, ტყვიამფრქვევი-ტყვიამფრქვევს ეხმაურება. მტრის ნაწილებში პანიკამ და დაბნეულობამ მოიდგა ფეხი.

ვლადიმერი ორივე ხელით სტყორცნის ყუმბარებს, თან მებრძოლებს დაჰყიჟინებს, სიმხნევესა და ძალას ჰმატებს.

პავლუშა იმით მიხვდა ვლადიმერის თავდასხმას, რომ მის მხარეზე მტერმა სროლა შეასუსტა. მალე იაპონელები სულ დადუმდნენ და საიდღაც შორს, მტრის ზურგში ისმის ყუმბარების აფეთქება და ტყვიამფრქვევების კაკანი.

იგრძნო თუ არა ეს პავლუშა ერშოვმა, ოცეულები იერიშზე წაიყვანა. მებრძოლებმა თითქოს მგლის მუხლები მოიბეს, ავარდნენ ფერდზე და მტერს ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს.

ორივე მხრიდან გარსშემორტყმული მტერი უმოწყალოდ იჟლიტებოდა, მაგრამ პოზიციების დატოვებას მაინც არ ფიქრობდა.

ვლადიმერის ექვსი მებრძოლიდან სამი უკვე აღარ სჩანდა ბრძოლის ფრონტზე. ისინი ხრამში ეყარნენ ხელყუმბარებით დაგლეჯილნი. პავლუშა რომ არ წამოშველებოდა, ვლადიმერის პატარა რაზმიდან ცოცხალი არავინ დარჩებოდა.

—თქვენი ჭირიმე, ბიჭებო! — შესძახა ვლადიმერმა აღფრთოვანებული ხმით, როცა იერიშზე გადმოსული ასეული დაინახა.

მტერი გატყდა, წითელ შევარდნების შეტევას ვერ გაუძლო, ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები და შაშხანები დაყარა და გაქუსლა. ამაოდ ცდილობდა სამურაი ოფიცერი მათ შეჩერებას. ბრაზმორეული ტყვიას აყრიდა თავისივე ჯარისკაცებს ალბათ ის აჯავრებდა, რომ სამი დღე-ღამის განმავლობაში ნაკეთები და ნაწვალები სიმაგრეები ახლა ნაცარ-ტუტად იყო ქცეული და მაღლობი სავენახედ გადაბრუნებულ მიწას ჰგავდა.

— თქვენი ჭირიმე, ბიჭებო! — დაიძახა მეორეჯერ ვლადიმერმა, ვეფხივით ეცა ოფიცერს, გაქცეულ ჯარისკაცებს თავისივე ხელით რომ ხვრეტდა, და მის ღირსეულ წინაპრებს გააყოლა.

როცა დაჭრილ-დახოცილთა თავმოყრას შეუდგნენ, — პავლუშა ცოტა დაჯავრიანდა. იმ ასი მებრძოლიდან, რომელიც მან იერიშზე წაიყვანა, ახლა ბრძოლისათვის ვარგისად მხოლოდ სამოცდაათი კაცი თუ გამოდგებოდა, დანარჩენები ზოგი მძიმედ იყო დაჭრილი, ზოგი მსუბუქად და ზოგი კი სრულებით არ გრძნობდა არც ტკივილს, არც მწუხარებას და არც იმ სიხარულს, რომლითაც გამსჭვალული იყვნენ მებრძოლები მაღლობის დაპყრობის გამო. გულს ისღა ახარებდა, რომ მათს თვალწინ მტრის სამასი ჯარისკაცი გაქვავებული ეყარა მაღლობის ფერდებში და მის ძირში.

ოთხ ადგილას ყუმბარის ნატეხებით დაფლეთილი და ტყვიებით დაცხრილული დროშა პავლუშა ერშოვმა და ვლადიმერ გრებენშჩიკოვმა მაღლობის მწვერვალზე დაასვეს და იქვე ჩამოჯდნენ გულდამშვიდებულნი. უცბად გაისმა ტყვიის წივილი და ვლადიმერი ისე დაეცა მიწაზე, რომ ხელი დროშისთვის არ შეუშვია.

ამხ. ა. კუჟავა

ხასანის ტბასთან ბრძოლების მონაწილე, უმცროსი პოლიტხელი, დაჯილდოებული წითელი დროშის ორდენით.

მოკვდა ომგადაძილი მებრძოლი, სწორედ მაშინ, როცა მაღლობზე, მებრძოლთა შორის საზეიმო განწყობილება სუფევდა. ეს განწყობილება მწუხარებამ შესცვალა. პავლუშას სახეზე მრისხანე გამომეტყველება აღიბეჭდა. უხმოდ, ბრძანების გაუცემლად დადგა ასეული საბრძოლო მდგომარეობაში. მათ ირგვლივ მიმოიხედეს, მაგრამ არავინ სჩანდა და ვის დადევნებოდნენ, ვისზე ეძიათ შური და დაეტეხათ რისხვა და ბრაზი.

— მტერი სადღაც ახლოს არის!—სთქვა მცირე ხნის დუმილის შემდეგ პავლუშა ერშოვმა და ბრძანება გასცა სანგრები მოემზადებინათ, ზარბაზნები შეემართათ. და სნაიპერებიც თავის ადგილას ყოფილიყვნენ.

— სერგეი მიროშნიკოვ! — მოიხმო მან ტყვიამფრქვევთა ოცეულის უფროსი, — როგორც გამოცდილ მზვერავს, გევალებ გამოიკვლიო ირგვლივ მდებარე ადგილები გულდასმით, მხოლოდ ნურავის წაიყვან, მარტო შენ გასწი!

— მესმის, ამხანაგო უფროსო!—და ხელყუმბარებით დაკაპანებული სერგეი, რევოლვერ-ამოწვდილი დაჰყვა დაბლობებს. მიწა ისე დაფარული იყო მაღალღეროებიანი მცენარეებით და ბალახებით, რომ სერგეი შიგ სრულებით არ მოსჩანდა, მით უმეტეს წელში მოხრილი მიიპარებოდა.

ბევრი იარა მან ასე, მაგრამ საეჭვოს მაინც ვერსად წააწყდა. ნადირზე ხელმოცარულ მონადირესავით უკმაყოფილო და გულდაწყვეტილი მოდიოდა უკან, რომ მაღალ [illegible] ბალახები შეიძრა და [illegible] აქეთ-იქით მიეფინ-მოეფინა. სერგეიმ მაშინვე სტყორცნა ყუმბარა. ყუმბარის დაცემისთანავე საშინელი ყვირილი გამოსცა იმ ადგილმა. მან კიდევ ოთხჯერ სტყორცნა ყუმბარა და მერე ყური მიუგდო. კვნესა და წუხილი მოესმა მას, მაგრამ ისიც მალე მიწყდა. ცნობისმოყვარეობამ იგი ერთს ადგილას არ დააყენა. გაწვა ბალახებში და მუცელზე ხოხვით მივიდა იმ ადგილას, საიდანაც კვნესა ისმოდა. მაშ ტყუილა არ წამოვსულვარო, გაიფიქრა მან, როცა ყუმბარისაგან დაგლეჯილი ექვსი იაპონელის გვამი დაინახა. ერთს იმათგანს უნტერ-ოფიცრის პაგონები ეკრა მხრებზე. მის გვერდით თავმოხდილი ბოთლები ეყარა, სანგარში სპირტის სუნი იდგა.

სერგეი მობრუნდა, მას ეს ადგილი სანდოდ არ ეჩვენა. წელში გაუმართავად შემოტრიალდა. მის უკან მაღალი ბალახი შეირყა, მან ყურადღება არ მიაქცია, გზა განაგრძო, მაგრამ ამ დროს რაღაც მძიმე და უხეში საგანი ჩაგორდა ხევში. მაშინ სერგეიმ მტრის ახლოს ყოფნა იგრძნო, ბევრი უთვალთვალა, მაგრამ რომ ვერაფერი აღმოაჩინა, ასეულში მივიდა და პავლუშას ყველაფერი უამბო.

— ყოჩაღ, სერგეი, ყოჩაღ!—ცოტა ხნის შემდეგ თითქოს სინანული იგრძნოო, უხალისოთ დაუმატა, — დანაკლისის ანაზღაურებისათვის მაინც ცოტაა, მოდი მეც წამოვალ, სამი მებრძოლი წავიყვანოთ და მოვძებნოთ მტრის საბუდარი.

ბევრი არ დაუყოვნებიათ. მალე წავიდნენ, მუცელზე ხოხვით მივიდნენ სერგეის მიერ შენიშნულ ადგილთან და ბალახებში გაიხედეს. ნახეს, რომ მიხაკისფერ ფრენჩიანი კაცი ბალახებში წევს, ფეხებზე ყვითელი გეტრები აცვია, თვალები დახუჭული აქვს, მხოლოდ სახე კი ძალზე გაყვითლებული და გაფითრებული, მიცვალებულს ჰგავს, არ ირხევა. ჩაშავებული ტუჩები ჩაცვინული კბილების ღრუში შეკეცვია.

ამ სანახაობამ ძალიან გააოცა მებრძოლები.

პავლუშამ მიიხედა თუ არა მარჯვნივ, სნაიპერის თოფს მოჰკრა თვალი. სულ აენთო იგი მაშინ, არაფერი უთქვამს, მხოლოდ თავისთვის გაიფიქრა: აი ვინ მოჰკლა ჩემი ვლადიმერიო! უცებ სახის მოძრაობა შესცვალა. ბალახზე მისვენებულ კაცს რომ დახედა, გაეცინა. რა არის ეს? სიმულაცია თუ საზიზღარი დაცინვა?

— უკანასკნელ წუთებში ალბათ თავის ბედს თუ დასცინის, ამხანაგო უფროსო!—ჩაილაპარაკა სერგეი მიროშნიკოვმა და მტკიცედ დაავლო ხელი ჯარისკაცს ზევით წამოსაყენებლად.

— ადექით, წავიდეთ! — უბრძანა მან, მაგრამ მას არც თავი წამოუწევია მაღლა და არც გარხეულა, ასეთსავე მყარ მდგომარეობაში, დამტვრეული რუსულით წამოილაპარაკა:

— წავიდეთ...

მაშინ სერგეიმ უფრო მაგრად დაავლო ხელი მას და ფეხზე დააყენა. მხოლოდ ახლა შეამჩნია პავლუშამ, რომ ამ იაპონელს ხელში მაგრად შემართა ყუმბარა და მიწაზე დახეთქებას აპირებდა.

პავლუშამ ყუმბარა გამოსტაცა ხელიდან, ხოლო სერგეიმ რევოლვერის ტყვიით თავის ქალა გაუხვრიტა.

— ესეც ვლადიმერის სანაცვლო იყოს, ბიჭებო!

— იყოს, იყოს! — დაეთანხმნენ მას მებრძოლები.

---

*) ერთი თავი მოთხრობიდან „ხასანის გმირები“.

ზ. ფალიაშვილის ძეგლი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გადაწყვეტილებით ქართული ოპერის ფუძემდებლის კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილის ძეგლი, რომელიც შესრულებულია მოქანდაკე რუბენ თავაძის მიერ, დაიდგმება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში.

გრანიტის კვარცხლბეკზე მოთავსებული იქნება სავარძელში მჯდომარე კომპოზიტორის ბრინჯაოს ფიგურა. კომპოზიტორს ხელში ეკავება კლავირი და სახე რუსთაველის პროსპექტისაკენ ექნება.

თიხისაგან ფიგურის გამოძერწვა მთავრდება. შემდეგ ფიგურას ბრინჯაოსაგან ჩამოასხამენ.

ძეგლის დადგმა გათვალისწინებულია ოქტომბრისათვის (საქდესი).

დახლის მუშაკის პატიოსნება

გორი, 4 აგვისტო (საკ. კორ.). 1 აგვისტოს სახბანკის გორის განყოფილებაში 600 მანეთის დანაკლისი აღმოჩნდა; 2 აგვისტოს საქვაჭრობის № 4 მაღაზიის გამყიდველი იოსებ მამისთვალოვი ბანკში მივიდა და განაცხადა, რომ 600 მანეთი მან აღმოაჩინა იმ ჩანთაში, რომლითაც 1 აგვისტოს ჩააბარა ბანკს ფული. დახლის მუშაკმა მამისთვალოვმა ბანკს უკან დაუბრუნა 600 მანეთი.

ქურდობა

მიმდინარე წლის 28 ივნისის ღამეს ქურდებმა გატეხეს წალენჯიხის რაიონის აბრეშუმის დამამზადებელი კანტორის კარი და მოიპარეს თუნუქით მოჭედილი ხის სალარო, რომელშიც ინახებოდა ფული 110 ათას მანეთამდე. გატეხილი სალარო იპოვნეს სიმინდის ნათესში კანტორიდან 80 მეტრის დაშორებით. სალაროში აღმოჩნდა 8230 მანეთი. 3.000 მანეთი იპოვეს სალაროს მახლობლად. ეს ფული, როგორც ჩანს, ქურდებს დაუცვივდათ.

მილიციის ორგანოების ოპერატიული ზომების შედეგად ქურდები მეორე დღესვე შეიპყრეს. ისინი აღმოჩნდნენ კ. დ. თვალთვაძე და დ. ი. ფიფია—ორივენი სოფელ წალენჯიხის მცხოვრებნი. ფიფია უკვე ორჯერ ყოფილა გასამართლებული ქურდობისათვის.

ქურდები გამოტყდნენ დანაშაულში და ძიებისათვის ის ადგილი, სადაც შენახული ჰქონდათ ფული. ეს ფული 98 ათასი მანეთის რაოდენობით იპოვნეს ქურდების მიერ ნაჩვენებ ადგილას. ამგვარად, წინათ ნაპოვნ ფულთან ერთად ნაპოვნია მთელი მოპარული თანხა. ქურდები სამართალში მისცეს. ფულის შენახვის დაშვებული დაუდევრობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული წალენჯიხის რაიონის აბრეშუმის დამამზადებელი კანტორის გამგე ვ. გიორგაძე და მოლარე ქვანია.

ლიმონათის ახალი ქარხანა

თბილისის ლუდ-ლიმონათის ტრესტს გადაწყვეტილი აქვს თბილისში ააგოს ლიმონათისა და სიროფების დამამზადებელი ახალი ქარხანა.

ახალი ქარხნის აგება გათვალისწინებულია დიდუბეში, სადღაც მოედნის მახლობლად. მიწის ნაკვეთი უკვე გამოყოფილია და პროექტების დამუშავებისთანავე შეუდგებიან მშენებლობას.

რამდენი ბიბლიოთეკა და სამკითხველოა თბილისში

თითქმის ყველა დიდ დაწესებულებას, ყველა ფაბრიკასა და ქარხანას, ყველა სასწავლებელს და საზოგადოებრივ ორგანიზაციას აქვს ან საკუთარი მოზრდილი ბიბლიოთეკა, ან სამკითხველო. ზუსტი ცნობა, თუ სახელდობრ რამდენი ბიბლიოთეკა და სამკითხველოა თბილისში, არსად მოიპოვება, რადგან ჯერ არავის აღურიცხავს ყველა ბიბლიოთეკა და სამკითხველო.

თბილისის საბჭომ დაავალა განათლების განყოფილებას დაიწყოს და 26 სექტემბრამდე დაამთავროს ქალაქის ფარგლებში ამჟამად არსებული ყველა ბიბლიოთეკისა და სამკითხველოს აღრიცხვა, მიუხედავად იმისა, ვის გამგებლობაშია იგი. ამავე დროს აღრიცხული იქნება, თუ სად რამდენი წასაკითხი წიგნია დაცული.

იმ დაწესებულებებს, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც სათანადო სარეგისტრაციო ცნობებს დროულად არ მიაწოდებენ თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებას, მიღებული იქნება ადმინისტრატიული ღონისძიებები.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

7 აგვისტოს სტალინის სახელობის **რაიკომის პარტკაბინეტში**—ამხ. სტუროას ლექცია თემაზე: ბოლშევიკების პარტია იმპერიალისტური ომისა და რუსეთის მეორე რევოლუციის პერიოდში. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პარტკალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი №2839484, გაცემული ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მიერ ილარიონ მალაქიას-ძე ბუზნიკაშვილის სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 1684811, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მიერ ნადეჟდა ივანეს-ასულ თხელიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
(პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50)

საზაფხულო თეატრი
6 აგვისტოს მუდ. ადგ. ტალ. № 70
ხოლოპკა მუს. კომ. 3 მოქმ.
7—8 აგვისტოს მუდ. ადგ. ტალ. 71-72
როზ-მარი მუს. კომ. 3 მოქ.
სამხატვრო ხელმძღვან. ა. ნ. ოლგარი
დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე
სალარო ღიაა დილის 11 საათ. 3 საათ., საღამოს 6 საათ. 11 საათ.

დახურული თეატრი
6, 7 აგვისტოს
ლენინგრადის **ბოშური სიმღერებისა** და **ცეკვების** ანსამბლის უკანასკნელი გასტროლები.
დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
ბილეთები იყიდება

ღია ესტრადა 6 აგვისტოს
1) საქ. ესტრადის ვოკალური ანსამბლის **კონცერტი** კომპოზიტორ ვ. ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით.
2) მხატვრული კინოფილმი დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის ხელმძღვანელობით.

სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი
(რუსთაველის პროსპ. № 21)

განცხადებების მიღება გაგრძელებულია 20 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოს 12 საათზე.

დაწვრილებითი პირობების გასაგებად მიმართეთ ინსტიტუტის კანცელარიაში ყოველდღე 10 საათიდან 2 საათამდე ან იხილეთ 8 ივლისის „კომუნისტი“ № 154.

50 **ინსტიტუტის დირექცია.**

საქართველოს რესპუბლიკური სავაჭრო ბაზა „ტექსტილსბიტი“ გადავიდა საკუთარ ბინაზე.
მისამართი: ნავთლუღი, „ტექსტილსბიტის“ ქუჩა, „მთავარშაქრის“ საწყობის გვერდით, ტელეფონი № 3-38-23.
2676

სსრ კავშირის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის სრულიად-საკავშირო დაუსწრებელი ინსტიტუტის საქართველოს სასწავლო ბაზა აცხადებს ინსტიტუტში მიღებას 1939-40 სასწავლო წლისათვის

(ქართულ და რუსულ სექტორზე)

ინსტიტუტი ამზადებს წარმოებიდან მოუწყვეტლად საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მაღალკვალიფიციურ ინჟინრებს, ინჟინერ-ეკონომისტებს, ენერგო-მექანიკოსებს საფეიქრო, სამკერვალო და ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობათა განხრით.

სწავლების ვადა 5 წელი და 10 თვე.

ინსტიტუტში მიიღებიან ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა, მუშფაკი, ტექნიკუმი. ფრიადოსნები მიიღებიან უგამოცდოდ. ინსტიტუტში შემსვლელნი გამოიცდებიან:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში, 3. მათემატიკაში, 4. ფიზიკაში, 5. ქიმიაში, 6. სსრკ ხალხთა ისტორიაში, კონსტიტუციაში, 7. ერთერთ უცხო ენაში.

ინსტიტუტში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ:

1. ავტობიოგრაფია, 2. ატესტატი (დედანი), 3. სამი ფოტოსურათი საკუთარი ხელისმოწერით, შემოწმებული სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ, 4. ცნობა სამსახურიდან (თუ მსახურობს), 5. პასპორტი (ადგენს პირადად გამოცხადების დროს).

განცხადებების მიღება სწარმოებს ა. წ. 15 აგვისტომდე.

თანახმად სსრკ სახკომსაბჭოს 1939 წ. 28/IV-ს დადგენილებისა, მსმენელებს მიეცემათ 10-დღიანი უფასო შვებულება მისაღები გამოცდების პერიოდში. უგამოცდოდ მიიღებიან: 1. ფრიადოსნები, 2. უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულნი და აგრეთვე ის პირები, რომლებიც მიმდინარე წელს ჩააბარებენ გამოცდებს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შეფასებით არანაკლებ საშუალოსი და დიდი კონკურსის გამო უმაღლეს სასწავლებლებში ვერ მოხვდებიან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა, რუსთაველის პროსპ. № 4, მთავრობის სახლი, მე-5 სართული, ოთახი 25, ტელეფონი 3-64-67, დილის 9 საათიდან 3½ საათამდე ამხ. ლაშხთან და საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე, დ. კლდიაშვილის (ყოფ. მილიუტინის) ქ. №13, ამხ. ლაშხთან.

274 **საქ. საფეიქრო და მსუბუქი მრეწვ. დ/ინსტიტუტის თბილისის ბაზა**

ექიმ ნ. გ. კანტოროვიჩის თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის კაბინეტი
ელბაქიძის დაღმართი, 21
მიღება დილის 12-დან 4 ს-მდე
მუწუკების, ფერისმჭამელას, ჭორფლის, ლაქების, კანის სიხმელის, თმის დაცვივნის, თეზოს მკურნალობა, ხალების, მეჭეჭების, ნაჭრილობევების და პირისახისა და თავის კანის სხვა ნაკლთა გაქრობა. 3—3 1768

მეუღლე თომა, შვილები გიორგი, გალაქტიონ, რძლები ანეტა, ჟენია, შვილიშვილები კარლო, ავთანდილ, კამო, ბორისი, რომანი იუწყებიან დაუვიწყარ
ელისაბედ ჟაჟიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დ. ჩოხატაურში 8/VIII. 2696

მამა სოლომონ, დედა სოფიო უნაფქოშვილი, ძმა შოთა, დები თინა, ნინელი კასრაძეები, დეიდა ნინო კაპანაძე მწუხარებით იუწყებიან საყვარელ
გიორგი (გოგა) სოლომონის-ძე კასრაძის
გარდაცვალებას. 2705

თბ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრის დირექცია, პარტბიურო, ადგილკომი იუწყებიან ორდენოსან პეტრე ამირანაშვილის დედის
ქრისტინე ბიჭიას-ასულ ამირანაშვილის
გარდაცვალებას 100

საქვაჭრობის სასაწყობო მეურნეობის მუშა - მოსამსახურენი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე მეურნეობის თანამშრომელ გ. პ. სამარჩიანს მისი მეუღლის
ლუსია სამარჩიანის
გარდაცვალების გამო. 2695

დამწუხრებული დედა ნინა საყვარელიძე შვილებით მედიკოთი და დოდოთი იუწყება ერთადერთი ვაჟის საყვარელი
გივის
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება 8/VIII, სუმბათოვის ქუჩა № 13, საღ. 5 ს. პანაშვიდი 7/VIII საღ. 8 ს. და 8/VIII დღის 4 ს.

დამწუხრებული ბებია დარო, დეიდა ლენა შვილებით, ბიძები პეტრე, გიორგი ცოლშვილით, სერგო პლატონ საყვარელიძეები შალვა, ქსენია, ვარდოსანიძეები შვილებით იუწყებიან ძვირფას
პატარა გივის
გარდაცვალებას

სერგო ვიქტორის-ძე საყვარელიძე იუწყება, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა მისი დისწული, დაუვიწყარი
პატარა გივი
პანაშვიდი 7/VIII საღამოს 8. ს. და 8/VIII დღის 4 ს. დაკრძალვა 8/VIII საღ. 5 ს. კუკიის სასაფლაოზე.

ჩოხატაურის რაიაღმასკომის ღვინოკომბინატის თბილისის განყოფილების თანამშრომლები: ნადირაძე, ხუნდაძე, ნორაკიძე, ნადირაშვილი, ხატიაშვილი, ბროკიშვილი იუწყებიან ამავე რაიაღმასკომის თავმჯდომარის გიორგი ყაჭეიშვილის დედის
ელისაბედის
გარდაცვალებას. 2697

სახ. ოპერის მსახიობები პეტრე ამირანაშვილი და ნადია ცომაია ქალიშვილით მედეათი იუწყებიან საყვარელი დედისა და ბებიის
ქრისტინე ბიჭიას-ასულ ამირანაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 6/VIII, 6 ს. ლენინის, 85, მე-4 შესავალი, ბინა № 87 (გმირთა მოედანი). 2702

მშობლები ტასო, იასონ, შვილი შოთა, რძალი იულია, ძმისწულები აღლიტა, ჯემალ რამიშვილები იუწყებიან საყვარელ
ლევან (კუკუშა) იასონის - ძე რამიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7½ ს. მაგისტრალის მე-2 შესახვ., 7 დაკრძალვა 8/VIII, 6 ს. (ლენრაიონი). 2699

შვილი ევგენი, რძალი მარო, შვილიშვილი თინა იუწყებიან, რომ 6 და 7 აგვისტოს საღ. 7½ ს., განათლების შესახვევი, 5, დანიშნულია
პლატონ დავითის-ძე ჭავჭანიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 2700

დამწუხრებული დედა დარო, და კატუშა, ბიძა გიორგი, ბიცოლა ევდოსი, ბიძაშვილი ლუბა, შალიკო, შოთა, მამიდაშვილი ტასო იუწყებიან
ბიჭიკო (ალექსი) ხიჟაკაძის
გარდაცვალებას. 290

ელენე, თინა, სამსონ, კოტე, სამუილ, არჩილ კიკნაძეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ
ლიდა ჩაჩუას
გარდაცვალების გამო. 2694

დამწუხრებული მეუღლე ოლღა, შვილები ევსევი, ლადო, აკაკი, ქალიშვილები ლიდა, პოპო, თამარ, პირა ქმრებით იუწყებიან ძვირფას
გიგო კვირიას-ძე სვანიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ტოლაშში (ამბროლაური) 2698

პავლე ამირანაშვილი ცოლით მარიამით და შვილებით ავთანდილით და ტარიელით იუწყება საყვარელი დედის
ქრისტინე ბიჭიას-ასულ ამირანაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 6/VIII, 6 ს. ლენინის, 85, მე-4 შესავალი, ბინა № 87. 2703

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ. ვ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1713